# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 29 მაისი. 2024 წ. №63 (9743) ელ.ფოსტა: sak@sak.ge ფასი 1 ლარი


## ირაკლი კობახიძე: გვჯეროდეთ ყველას, გამჭვირვალობის კანონი საქართველოს დამშვიდებას ემსახურება!



ყველა უნდა შეეგუოს იმ ფაქტს, რომ საქართველოს პარლამენტმა იმოქმედა ხალხის ნების შესაბამისად, მიიღო სამართლებრივად და ყველა თვალსაზრისით აბსოლუტურად გამართული კანონი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ საღამოს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

იხ. მე-2 გვ.

## გვიხსენით მოძალადე მეგობრებისგან!

მარია ბურიჩი



### ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი:

საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა კანონპროექტის უკან გაწვევის საბოლოო შესაძლებლობაზე და უარი თქვა მნიშვნელოვან დიალოგზე, უგულებელყო ვენეციის კომისიის ერთ-მნიშვნელოვანი რეკომენდაციები...

ანა ფოტიგა



### ევროპარლამენტის წევრი

კრემლის სისხლიან რეჟიმთან დაახლოების მავნე პოლიტიკის საფასური „ქართული ოცნების" ხელმძღვანელობამ უნდა გადაიხადოს, ჩვენ არ უნდა დავსაჯოთ ქართველი ხალხი!

ვაფასებ ჰელსინკის კომისიის მოქმედებას ქართველების ევროპული არჩევანის დასაცავად.

ჟოზეპ ბორელი



### ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი

ევროკავშირი ღრმა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, დაძლიოს პრეზიდენტის ვეტო უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონზე.



## ბრიუსელი ევროპას მესამე მსოფლიო ომისთვის ამზადებს?!

3

### მაღალი ზნეობის მეცნიერი



## ქართული კულტურის ბრწყინვალე მკვლევარი

## აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე

5

### ფელეტონურ-პაპატაური ჟურნალისტიკა!!!



7

## რად შეიძლება იქცნენ ჟურნალიფსიტები?

### თუ ეთქმის, მას ეთქმის...

## ჟორდანიები მიჩვეულნი ვართ ემიგრანტობას...



10

# პარლამენტმა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი მიიღო!






**პარლამენტმა გუშინ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია.**

ვეტოს დაძლევას და კანონის თავდაპირველი ვერსიით მიღებას მხარი დაუჭირა 84-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი ოთხი იყო.

კანონი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად" ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მედიასაშუალებების რეგისტრაციას ითვალისწინებს, რომელთა შემოსავლის გარკვეული მოცულობა – 20 პროცენტზე მეტი უცხოეთიდან არის მიღებული.

მესამე მოსმენით მიღებული კანონპროექტის მიხედვით, ყველა, ვინც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად" მოიაზრება, საჯარო რეესტრში სავალდებულო წესით ამავე სახელწოდების ბაზაში უნდა დარეგისტრირდეს. რეგისტრაციის დროს კი აუცილებელი იქნება მიღებული შემოსავლების ასახვა.

ამავე დროს, ორგანიზაციებს საფინანსო დეკლარაციის ყოველწლიურად შევსების ვალდებულება ექნებათ. კანონპროექტი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის" გამოსავლენად იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებას ანიჭებს, ნებისმიერ დროს კვლევა ჩაატაროს და საკითხის შესწავლა-მონიტორინგი განახორციელოს.

ამასთან, მონიტორინგის დაწყების საფუძველი იქნება იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება და იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ კონკრეტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სათანადო მინიშნებას შეიცავს". მონიტორინგის განხორციელების მიზნით კი იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილ პირს უფლება ექნება, კანონის შესაბამისად, საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემი მოიძიოს. ერთსა და იმავე სუბიექტის მიმართ მონიტორინგის განხორციელება მხოლოდ ექვს თვეში ერთხელ იქნება დასაშვები.

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად" რეგისტრაციისთვის თავის არიდება ან დეკლარაციის შეუვსებლობა გამოიწვევს ორგანიზაციის დაჯარიმებას 25 ათასი ლარის ოდენობით. პროექტით ასევე გათვალისწინებულია შემდეგი სახის ჯარიმები: იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე დაშვებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში თუ ორგანიზაცია არ შეავსებს განაცხადის ფორმას – 10 ათასი ლარი; თუ დოკუმენტებში ხარვეზები განსაზღვრულ ვადაში არ გამოსწორდება, ჯარიმა 10 ათასი ლარი იქნება; კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი თვის შემდეგ ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ათასი ლარის ოდენობით. 29 აპრილს, იურიდიულ კომიტეტზე განხილვისას კანონპროექტის მეორე მუხლში გარკვეული ცვლილებები შევიდა. კერძოდ, მეორე მუხლის პირველი პუნქტის ბ, გ და დ ქვეპუნქტებში სიტყვა „არაკომერციული" ჩაემატა.

## ირაკლი კობახიძე:

# გამჭვირვალობის კანონი საქართველოს დამშვიდებას ემსახურება!

**პირველი გვერდიდან**

– კიდევ ერთხელ ვიტყვი, არც ერთი არგუმენტი არ არსებობს ამ კანონის წინააღმდეგ. კანონი როდესაც ითვალისწინებს ერთადერთ რამეს და ეს ერთადერთი რამე არის წელიწადში ერთხელ დეკლარაციის წარდგენა, შეუძლებელია, ჰქონდეს არგუმენტი ასეთი კანონის წინააღმდეგ. ასევე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რაც უკვე ვთქვი, ერთადერთი მეტ-ნაკლებად მშვიდი წელი გვქონდა ჩვენ 2016 წლის შემდეგ ამ ქვეყანაში, ეს იყო 2017 წელი. შემდეგ 18-19-20-21-22-23 წლები, გამუდმებით გვქონდა ჩვენ ამ ქვეყანაში არეულობის შემოტანის მცდელობა, დესტაბილიზაციის მცდელობა, რევოლუციის მოწყობის მცდელობა. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ქართველი ხალხის წინაშე, რომ ვიზრუნოთ არა მარტო კონკრეტული ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, დარგების განვითარებაზე, არამედ პირველ რიგში ვართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავამშვიდოთ ეს ქვეყანა. სტაბილურობა არის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და ამ ამოცანის შესრულებაზე ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ქართველი ხალხის წინაშე. რასაც სათანადოდ ვერ ვახერხებდით ობიექტური მიზეზების გამო მთელი ამ წლების განმავლობაში, თუმცა ახლა ვართ მყარად, საკმარისად მყარად, რათა სუვერენიტეტის ბოლომდე განმტკიცება შევძლოთ და ეს კანონიც სწორედ ამას ემსახურება...

**გამჭვირვალობის კანონი ემსახურება სწორედ საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებას და საქართველოს დამშვიდებას.**

**„გაუმჭვირვალობა იყო მთავარი ინსტრუმენტი, იარაღი არაკეთილმოსურნეების ხელში, რათა ეცადათ ქვეყანაში არეულობის შემოტანა, დღეს გამჭვირვალობა უკვე დააზღვევს მყარად საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ზომას და იქნება ეფექტური ინსტრუმენტი, რათა ქვეყანა საბოლოოდ დამშვიდდეს.**

ჩვენ თანდათანობით ვზრუნავდით იმისთვის, რომ გაგვემყარებინა სუვერენიტეტი და ამ კანონის მიღება არის რეალურად კულმინაცია ამ პროცესის, რასაც ჰქვია ჩვენი სუვერენიტეტის განმტკიცების პროცესი. მე მესმის კონკრეტული ძალების აღშფოთება, ვიღაცებს უნდოდათ მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, თუმცა ჩვენ გვაქვს სხვა დღის წესრიგი, სხვა პასუხისმგებლობა საკუთარი მოსახლეობის წინაშე, ეს არის ის, რომ არავის ავამღვრევინოთ წყალი ამ ქვეყანაში და ერთხელ და სამუდამოდ დავამშვიდოთ ეს ქვეყანა"...

## მამუკა მდინარაძე:

# საქართველოს მოტყუებას არავინ არ უნდა შეეცადოს!



**ალბათ წლების წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საქართველო ამ მასშტაბის წინააღმდეგობის მიუხედავად შეძლებდა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე სოციალურ ქსელში წერს.**

მდინარაძე მადლობას უხდის კოლეგებს და ქართველ ხალხს ერთიანობისა და გონიერებისთვის.

მდინარაძე ასევე აღნიშნავს, რომ საქართველო მხოლოდ ღირსეული მეგობრობისთვის არის მზად.

...ალბათ, წლების წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საქართველო ამ მასშტაბის წინააღმდეგობის მიუხედავად შეძლებდა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას! მადლობა ამისთვის ჩემს თითოეულ კოლეგას და რაც მთავარია, ქართველ ხალხს. რომ არა მათი უპრეცედენტო ერთობა და გონიერება, ეს ვერ მოხდებოდა. ყველა მეგობარმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენი ქვეყანა მზადაა მხოლოდ ღირსეული და ჭეშმარიტი მეგობრობისთვის. ასევე უნდა გაითავისოს ყველამ, რამდენად ამაყ ქვეყანასთან და ხალხთან აქვს საქმე, რომლის მოტყუება ან აგენტურით მართვა არავინ აღარასდროს უნდა სცადოს!

## ლევან ნიკოლეიშვილი:

# ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება მონურ მორჩილებაში ვერავის ეყოლება



– ვეტო გუშინ დაძლიეს ხელისუფლებამ პრინციპულობა გამოიჩინა და კანონი მიიღო, რაც აუცილებელია. ცოტა ხნით ალბათ კვლავ გაგრძელდება გარკვეული საპროტესტო აქციები, ვხედავთ, რომ სცენარი ვითარდება შემდეგნაირად: ყველა დაიწყებს ფიცს იმისთვის, რომ არჩევნებისთვის მოემზადონ, არჩევნები არის ის მთავარი, სადაც ისინი ფიქრობენ, რომ თავიანთ მიზნებს მიაღწევენ. სამწუხაროდ, ამ მიზნების მიღწევაში ჩვენ ვხედავთ არა რაღაც პროგრამებზე მუშაობას, ან ჯანსაღი კონკურენციის გაწევას, არამედ რაღაც რადიკალური ქმედებების ჩამოყალიბებას, რაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა დე ფაქტო პრეზიდენტის განცხადების შემდეგ. მან რამდენჯერმე დაარღვია კონსტიტუცია, ქარტიაში ჩამოყალიბებულია ისეთი პუნქტები, რომლებიც არანაირად არ შეესაბამება კანონმდებლობას. მათ ეშინიათ ერთი მხრივ იმის, რომ იციან, ერთიანი სიის შედგენა ძალიან რთულია, ვინაიდან ყველას ლიდერობა სურს ამ ქვეყანაში და მეორე, ფიქრობენ, რომ იქნებ ერთიანი ძალით დაამარცხონ ხელისუფლება. ეს არ არის ერთიანი ძალა, ეს არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სხვადასხვა სახელით წარმოდგენილი. ისინი გაკოტრებულები არიან. ერთი დაპირებაც კი, რომელიც ოპოზიციამ დაასახელა, თუ შეასრულეს ან გააკეთეს? – არა, რადგან მათ ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერა არა აქვთ და არ გააჩნიათ პროგრამა. ხედავთ დღევანდელ სიტუაციასაც, როგორ მიდის მუქარები ოჯახის წევრებისა და შვილების მიმართ, რაც ყოვლად მიუღებელია. უცხოეთიდან ზეწოლა გაგრძელდება, მაგრამ შერბილებული სახით, რადგან დასავლეთს ძალიან დიდი გამოწვევები აქვს. ბევრ ქვეყანაში არჩევნებია და აქედან გამომდინარე უმჯობესი იქნება მათთვის, რომ თავიანთ პრობლემებს მიხედონ. დასავლეთში არიან ადამიანები, რომლებიც მწვავედ აკრიტიკებენ დასავლეთს იმისთვის, რომ ისინი ერევიან ჩვენს საშინაო საქმეებში. კანონი ერთგვარი საბაბია, თითქმის ყველას აქვს ეს კანონი მიღებული და ყველა ცდილობს, დაიცვას თავისი სუვერენიტეტი. ის, რომ ვიღაცებს არ მოსწონთ ეს ხელისუფლება, ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ნახეს, ეს არ არის ის ხალხი, რომელიც მონურ მორჩილებაში ეყოლებათ. კარგად რომ დავფიქრდეთ, იმ რამდენიმე ადამიანის გარდა, რომელიც გასაგები მიზეზების გამო აპროტესტებს კანონს, ჩვენ გვეღირსა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამბობს, რომ მათთვის პრიორიტეტია ხალხი და ეროვნული ინტერესები.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე გაგრძელდება და ეს არის იმის საბაბი, რომ ქვეყანა მართლა დამოუკიდებელი იყოს, განვითარდეს და ყველა პატივისცემით მოექცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებით უკრაინისმაგვარ სიტუაციაში. მიუხედავად იმისა, რომ მილიარდობით დახმარება მოდის, ზელენსკი კარდაკარ დადის ყველა ქვეყანაში და ეხვეწება მეტ შეიარაღებას და ვხედავთ იმას, რომ შედეგი არ არის"!..

# ბრიუსელი ევროპას მესამე მსოფლიო ომისთვის ამზადებს?!

**მესამე მსოფლიო ომის საფრთხე იზრდება და რეალური ხდება. უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის არაერთგზის მუქარის ფონზე, ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა გერმანულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ევროკავშირი უნდა მოემზადოს შესაძლო ომისთვის და მიიღოს ზომები ერთობლივი შეიარაღებისთვის. გერმანული გამოცემის ცნობით, ბალტიის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკოსებმა გერმანია გააფრთხილეს, რომ რუსები თუ მიაღწევენ სტრატეგიულ გარღვევას აღმოსავლეთ უკრაინაში, ვითარება შეიძლება მკვეთრად გაუარესდეს. ამ შემთხვევაში ეს ქვეყნები არ დაელოდებიან თავიანთ საზღვარზე რუსული ჯარების განლაგებას და თავად გაგზავნიან ჯარებს. ეს სცენარი კი ნიშნავს, რომ ნატო ომის მონაწილე გახდება.**



შეგახსენებთ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა არ გამორიცხა უკრაინაში ჯარების გაგზავნის შესაძლებლობა, თუ რუსეთი ფრონტის ხაზს გაარღვევს და უკრაინის მხრიდან იქნება მოთხოვნა. მაკრონის თქმით, ბევრი ქვეყანა დაეთანხმა საფრანგეთის მიდგომას ჯარების შესაძლო გაგზავნასთან დაკავშირებით.

სკანდალურ განაცხადებას აკეთებს უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელი, რომლის თქმით, რაც ახლა ვაშინგტონში და ბრიუსელში, უფრო მეტად ბრიუსელში ხდება, არის პირდაპირი სამხედრო კონფლიქტის ატმოსფეროს შექმნა, რასაც თამამად შეიძლება, ეწოდოს ევროპის ომისთვის მომზადება. ვიქტორ ორბანის განცხადებით, თვეების განმავლობაში ეცნობოდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების მზადების ისტორიას და მსგავსებები დღევანდელ პერიოდთან შემაშფოთებელია. მისივე თქმით, რუსეთის საფრთხეზე მითითებები ომისთვის მომზადებას ისახავს მიზნად.

– ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, გაჩერდებოდა თუ არა რუსეთი უკრაინის დამარცხების შემთხვევაში? რუსეთის არმია უკრაინელებთან სერიოზულ, რთულ ომს აწარმოებს, მათი დამარცხება ვერ შეძლო. რუსები საკმარისად ძლიერები რომ ყოფილიყვნენ უკრაინელების ერთბაშად დამარცხებისთვის, უკვე დაამარცხებდნენ მათ, მაგრამ ეს ის არ არის, რასაც ჩვენ ვხედავთ. ნატოს სიძლიერე უკრაინის სიძლიერეს არც შეედრება. ის ასჯერ, შესაძლოა, ათასჯერ დიდია, ამიტომ არ მგონია, ლოგიკურად ვივარაუდოთ, რომ რუსეთი, რომელიც უკრაინასაც კი ვერ უმკლავდება, უცებ შემოვიდეს და მთელი დასავლური სამყარო გადაყლაპოს", – განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

უნგრეთის მთავრობის ამ ეჭვს აძლიერებს ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადება, რომ ნატოს მოკავშირეებმა რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით უკრაინისთვის დაწესებული შეზღუდვები უნდა მოხსნან.

„მოვიდა დრო, რომ მოკავშირეებმა გარკვეული შეზღუდვების მოხსნა განიხილონ, რომლებიც მათ უკრაინას მიწოდებული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით დაუწესეს. განსაკუთრებით ახლა, როცა ხარკოვის ოლქში, საზღვართან ახლოს მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს, რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ლეგიტიმური სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ იარაღის გამოყენების აკრძალვა უკრაინისთვის თავდაცვას ძალიან ართულებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომია. უკრაინას საკუთარი თავის დაცვის უფლება აქვს. ეს რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ სამიზნე ობიექტებზე დარტყმასაც გულისხმობს", – აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურ მდივანს უპასუხა სერგეი ლავროვმა, რომლის განცხადებით, ამერიკული იარაღი უკვე გამოიყენება უკრაინაში კონფლიქტის ზონის გარეთ, რაც, მისი თქმით, ვაშინგტონის სინდისზეა.

– ამერიკულ იარაღს უკვე იყენებენ კონფლიქტის ზონის მიღმა სხვადასხვა ობიექტზე, ამიტომაც, ის, რომ ამერიკელები ცდილობენ, გააკეთონ დამამშვიდებელი განცხადებები თავიანთი საზოგადოებრივი აზრისთვის ან ნატოს წევრებისთვის ან აჩვენონ, რომ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, ჩემი აზრით, ხრიკია. ამერიკული და სხვა დასავლური იარაღების გამოყენებით თავდასხმები ხორციელდება რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ სამიზნეებზე, პირველ რიგში, სამოქალაქო ინფრასტრუქტურასა და საცხოვრებელ კვარტლებზე, – აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

საფრთხე რომ რეალურია, ამის შესახებ საუბრობს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი,** რომლის განცხადებით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე პირველ რიგში უნდა ვისაუბროთ საქართველოსთან დაკავშირებით. მისი თქმით, ყველაფერი, რა ინფორმაციაც გაჟღერდა საქართველოს ომში ჩართვასთან დაკავშირებით და იმ განცხადებების ფონზე, რაც გამოჩნდა, ეს იყო რეალობა.

– ის პროცესები, რაც ახლა ვითარდება და ჯერჯერობით მხოლოდ სადაზვერვო პროპაგანდის ხასიათი აქვს, ვფიქრობ, გარკვეულწილად, პირდაპირ კავშირშია იმ ქმედებებთან, რასაც პირდაპირ და ირიბად ახორციელებენ საქართველოს წინააღმდეგ და რაც იყო ბოლო ოფიციალური პირების ვიზიტი და მათი მარშრუტირება თბილისში. ეს ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს, პრაქტიკულად, ამის ნიშნები ისედაც გვქონდა. იმიტომ, რომ ევროპა და აშშ ამ კონფლიქტში ჩართული ისედაც არიან, როგორც ფინანსური, ისე შეიარაღების თვალსაზრისით. ასე რომ, არაფერი გასაკვირი არ არის და არაფერი მოულოდნელი არ იქნება იმაში, თუ ისინი დამატებით გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამენ ამ კონფლიქტის მასშტაბების გასაზრდელად. დღეს ეს საფრთხე გაზრდილია, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ საბოლოო ჯამში, გონიერება გაიმარჯვებს და სამყარო მესამე მსოფლიო ომამდე არ მივა", – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დავით კუხალაშვილი.

**მოამზადა**
**თამთა ქარჩავამ**

---

## შალვა პაპუაშვილი:

### სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტის პოზიციიდან ერევა საარჩევნო კამპანიაში, ეს კონსტიტუციის დარღვევაა!

**„ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ, ცხადად, თანაც ელჩების თანდასწრებით, დაიწყო კონსტიტუციის დარღვევა. ის თავისი პოზიციით, საქართველოს პრეზიდენტის პოზიციიდან ერევა საარჩევნო კამპანიაში, მონაწილეობს კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებთან ერთად საარჩევნო კამპანიაში, სახავს საარჩევნო სტრატეგიას, მიზნებს, არჩევნების შემდეგ მთავრობის დაკომპლექტების გეგმებს და ა.შ".**



ეს არის, მარტივად, დარღვევა კონსტიტუციის, უკვე მეორე სახის დარღვევა... ელჩებიც იქ იყვნენ. ახლა საინტერესოა, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, თუნდაც ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიები, რომლებიც ძალიან მგრძნობიარე არიან ხოლმე სხვადასხვა რესურსის გამოყენება-არგამოყენების საკითხების განხილვაში, აქაც ფართოდ დახუჭული თვალებით შეხედავენ კონსტიტუციის დარღვევას თუ ჩვენ ვიხილავთ რეაქციას სადამკვირვებლო ორგანიზაციებისგან იმაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევაა, როდესაც პრეზიდენტის სტატუსის მქონე ადამიანი ერევა საარჩევნო კამპანიაში?" – აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პოლიტიკურ პარტიებს სამოქმედო გეგმა, „ქართული ქარტია" წარუდგინა.**

**სალომე ზურაბიშვილი 26 მაისს დროებითი პარლამენტის არჩევის და მთავრობის ახალი მოდელის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც პოლიტიკური პარტიებისგან არ იქნება დაკომპლექტებული.**

### 2008-ში მოგვცეს დაპირება ნატოში გაწევრებაზე... იმის შემდეგ უკვე 16 წელია, ამ ღია კარში, ორპირ ქარში ვდგავართ

**დიახ,** 2008-ში მოგვცეს დაპირება და დათვალეთ, იმის შემდეგ გავიდა 16 წელი, ამ ღია კარში, ორპირ ქარში ვდგავართ, უკვე 16 წელია. მე მგონი კითხვები ჩვენ მიმართ არ არის, რაც შეეხება ნატოში წევრობა–არწევრობისთვის ძალისხმევას. ყველა დონეზე. კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ, ნატოს ის წევრები, რომლებიც ახლა აქტიურობენ და ჩვენთან მიტინგებზე გამოდიან, მათ რამდენიმე ათეული წარმომადგენელი ჰყავდათ, ისიც არასრულად, სამხედროები ავღანეთში. ჩვენ კი ათასიანი კონტინგენტი გვყავდა ავღანეთში.

რაც თითოეულ ამ ქვეყანას ჰყავდა წარმომადგენელი ჯარისკაცი ავღანეთში, ჩვენ იმდენი მარტო დავკარგეთ, მოგვიკლეს ავღანეთში", – განაცხადა პაპუაშვილმა.

მან ასევე თქვა, რომ საქართველო ბევრი მიმართულებით, მათ შორის დემოკრატიული ინსტიტუტების სიძლიერით უსწრებს ნატოს ბევრ ქვეყანას.



### არც ერთი სხვა ხალხი, არც ერთი სხვა ქვეყანა, სხვა ძალა ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენი ხალხის ცხოვრებას არ განსაზღვრავს!

**პარლამენტის წევრის ფიცი თავის თავში ატარებს ჩვენს უპირველეს ვალდებულებას, ვიზრუნოთ ქართველი ხალხის ინტერესებზე და მათი მანდატით, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.**

პაპუაშვილის თქმით, არც ერთი სხვა ხალხი, არც ერთი სხვა ქვეყანა, არც ერთი სხვა ძალა ქართველი ხალხის ცხოვრებას არ განსაზღვრავს.

პაპუაშვილის თქმით, სწორედ ამას ეხება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ კანონი.

„მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს პარლამენტმა. ანრი ოხანაშვილმა წაიკითხა პარლამენტის წევრის ფიცი, რომელიც თავის თავში ატარებს ჩვენს უპირველეს ვალდებულებას, ვიზრუნოთ ქართველი ხალხის ინტერესებზე და ვიმოქმედოთ ქართველი ხალხის ინტერესით, მათი მანდატით. არც ერთი სხვა ხალხი, არც ერთი სხვა ქვეყანა, არც ერთი სხვა ძალა ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენი ხალხის ცხოვრებას არ განსაზღვრავს. ზუსტად ამას ეხება ეს კანონი. ასე რომ, დიდი მადლობა ამისთვის"...

# არ დავუშვათ საქართველოს სტრატეგიული მარტოობა



## მიმართვა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს

**უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ ძირეულად შეცვალა მსოფლიო სახელმწიფოებს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობები.**

უკრაინაში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირება განიხილება როგორც შესაძლო მესამე მსოფლიო ომის პირველი ფაზა. ამგვარი ომების შედეგების წინასწარი განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად, განწირული ჩანს ყველა მცდელობა წინასწარ გამოვიცნოთ გეოპოლიტიკურ ძალთა განლაგება კონფლიქტის შემდგომ.

იმპერიათა ბრძოლა კავკასიისთვის ისტორიულად მრავალჯერ დასრულებულა საქართველოს დამორჩილება-ოკუპაციით. ჩვენი ქვეყანა ხშირად გამხდარა გამარჯვებულის ნადავლი. იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოს ტერიტორია გაიყოფოდა იმპერიებს შორის მათი მოლაპარაკების შესაბამისად.

2024 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ჩვენი ევროატლანტიკური მისწრაფებები და მოლოდინები მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ გეგმებისგან, რაც გააჩნიათ დასავლეთის ლიდერ ქვეყნებს საქართველოსთან და ზოგადად კავკასიასთან მიმართებაში. სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვითა და გაძლიერების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეიცვალოს დაქვემდებარების ხარისხი, რაც საქართველოს აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან.

ყოველივე ზემოაღნიშნული პირდაპირპროპორციულად აისახება საქართველოს პოლიტიკური ძალების მოქმედებებზე. გამოიკვეთა ორი ურთიერთსაპირისპირო პოზიცია. ერთი მხარე მოითხოვს, რომ საქართველო იყოს უფრო მეტად თავისუფალი ამერიკის შეერთებული შტატების გავლენისაგან, მეორე კი იბრძვის რუსეთისგან სრული დამოუკიდებლობისთვის. ორივე მათგანს ათასობით საქართველოს მოქალაქე უჭერს მხარს.

ვითარება პარადოქსულია: ერთი შეხედვით ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ხელისუფლება და ოპოზიცია, რეალურად და ქვეცნობიერად ემსახურება ერთ დიდ საერთო საქმეს – საქართველოს დამოუკიდებლობას. ემსახურება ისე, როგორც მას ეს ესმის.

საქართველოს სახელმწიფოს სუვერენული ფუნქციონირება მოითხოვს ორივე მიზნის მიღწევას, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ ისეთივე განსაცდელში, როგორშიც იყო საქართველო 1990-იან წლებში, ან როგორშიც არის უკრაინა დღეს.

**დღევანდელ მმართველ ძალას ან ოქტომბერში არჩეულ მომავალ ხელისუფლებას საქართველოს სახელმწიფოს შესანარჩუნებლად ესაჭიროება უსაფრთხოების (უშიშროების) ისეთი სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის და მისი მოსახლეობის დაცვას ყოველი მხრიდან მოსალოდნელი კრიზისებისგან. სისტემების შექმნა არ უნდა განისაზღვროს იმ ანგარიშით, თუ რომელ გეოპოლიტიკურ ძალასთან იქნება საქართველო მომავალში დაკავშირებული.**

* * *

**საქართველოს** მომავლის, ახალგაზრდობის პროტესტის მიზეზი მხოლოდ „გამჭვირვალობის კანონის“ მიღება არ არის. მათთვის გაუგებარია, როგორ აპირებს ხელისუფლება ისეთი საკითხების მოგვარებას როგორიცაა: მცირე შემოსავლები, ქვეყნის მოსახლეობისგან დაცლა, ქართველების დემოგრაფიული ჩანაცვლება, ქართული სოფლის დასუსტება, ადამიანის სიჯანსაღისთვის აუცილებელი საკვების წარმოების უუნარობა, ჩამოშლილი საშუალო და უმაღლესი განათლება, არაკონკურენტული ეკონომიკა და სხვა კიდევ მრავალი.

არადა, ეს ყველაფერი წინაპირობაა იმისა, რომ საომარი მოქმედებების გარეშეც კი, ადრე თუ გვიან, ჩვენმა ქვეყანამ დაკარგოს თავისუფლება.

კიდევ უფრო გასაოცარია პოზიცია-ოპოზიციის მიერ სრული იგნორირება იმ კატასტროფისა, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო მიწების უცხოელებზე გაყიდვის პროცესთან, რაც მიმდინარეობს საქართველოს კონსტიტუციისა და შესაბამისი ორი კანონის დარღვევით. თანაც, ქართული სოფლებისთვის წართმეული ტერიტორიები (სასოფლო-სამეურნეო მიწები, საძოვრები და სხვ.) გადაეცემათ არა პროდუქციის მწარმოებელ არარეზიდენტ პირებს, არამედ იმ სუბიექტებს, რომლებიც საქართველოს შუაგულში აშენებენ ათასობით კერძო სახლს სხვა ქვეყნის მოქალაქეების ჩამოსასახლებლად.

ქართული სოფლების ნაცვლად უცხოელების კუთვნილი დასახლებების მშენებლობა შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ეგზისტენციალურ გამოწვევად. ისტორიული გამოცდილებით, იმპერიებთან ბრძოლაში გამარჯვებისა და ოკუპაციისგან გათავისუფლების შანსი არსებობს, სხვებზე ქართული ტერიტორიების გაყიდვით დაწყებული ქვეყნის დეზინტეგრაციის პროცესის შეჩერების შანსი კი არა.

საქართველოს ხელისუფლების და პოლიტიკური ოპოზიციის ვალდებულება მხოლოდ ის არაა, რომ ებრძოდე იმპერიებს და იყო „მართალი“, არამედ ისიც, რომ გააზრებული სტრატეგიით ატარებდე საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამის პოლიტიკას.

მიუხედავად საქართველოს მდგომარეობისა მსოფლიოს იმ გადანაწილებაში, რომლისთვისაც ზესახელმწიფოებს შორის მიმდინარეობს გეოპოლიტიკური ბრძოლა, ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის და წინსვლისთვის აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი:

– ჩამოყალიბდეს თანამედროვე ქართული სახელმწიფო იდეოლოგია არსებული გამოცდილებისა და უკანასკნელი სამეცნიერო აღმოჩენების შესაბამისად;

– აღორძინდეს ქართული სოფელი – საქართველოს უპირობო საძირკველი;

– შეწყდეს უცხოელებზე მიწის გაყიდვა;

– დაუბრუნდეს სოფელს სტატუსი, რის შემდეგაც მუდმივ მფლობელობასა და სარგებლობაში გადაეცეს მათი კუთვნილი სასოფლო მიწები, საძოვრეები, ტყეები და სხვა მატერიალური სიკეთეები, რაც იქნება მათი ავტონომიური შემოსავლების ეკონომიკური საფუძველი;

– შეიცვალოს ულტრალიბერალური ეკონომიკური აზროვნება, რის გამოც ხელში შეგვრჩა დაუცველი ბაზარი, სხვა ქვეყნებთან ვითომ „თავისუფალი“ სავაჭრო ურთიერთობები, უსისტემო და არადარგობრივი ქაოსური ეკონომიკა;

– მომზადდეს სამობილიზაციო ეკონომიკის მოდელი, სტრატეგიულად აუცილებელი დარგების განვითარების პროგრამებით, რაც უზრუნველყოფს ქართული სახელმწიფოს სამხედრო და სასურსათო უსაფრთხოებას;

– განხორციელდეს განათლების სისტემის ნამდვილი რეფორმა;

– მომზადდეს ახალგაზრდა თაობა ციფრული ეკონომიკისთვის;

– გადაეცეს სათანადო ცოდნა მოსწავლეებს და სტუდენტებს;

– დაცული იქნას საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობა ჯანდაცვის მაღალეფექტური სერვისებისა და ხარისხიანი საკვების მიწოდებით.

დღეს შექმნილი ვითარების პარადოქსულობა იმაში გამოიხატება, რომ ხელისუფლების და ოპოზიციის დაპირისპირება და „გამჭვირვალობის კანონის“ გარშემო შექმნილი მდგომარეობა საქართველოს ფაქტობრივად ტოვებს სტრატეგიულ მარტოობაში, მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთითაც და სამხრეთითაც ომია. ამგვარი ვითარება უაღრესად სახიფათო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. მშვიდობის შესანარჩუნებლად და შემდგომი წინსვლისთვის საქართველოს სჭირდება ურთიერთგაგება და ერთიანობა, როგორც პოლიტიკურ ძალებს, ისე იმ ადამიანებს შორის, ვინც მათ მხარს უჭერს. 2024 წლის მარტის ბოლოდან განვითარებულ მოვლენებს სწორედ საპირისპირო მხარეს მივყავართ, რაც სრულიად დაუშვებელია.

**დღეს არსებული პოლიტიკური ძალების არასაკმარისი ცოდნა და უნარი, განახორციელოს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისათვის საჭირო სისტემური ცვლილებები, საფუძველს გვაძლევს, უახლოეს მომავალში წარმოგიდგინოთ მოქმედების უფრო დეტალური გეგმა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ხელისუფლების მიერ, რომელსაც მხარს დაუჭერს საქართველოს მოსახლეობა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე.**

პაატა კოღუაშვილი,
ნიკა სანებლიძე,
დავით გალეგაშვილი.

## გია აბაშიძე:
# „ქართული ქარტია“ – პოლიტიკური ქატო...



**ანალიტიკოსი გია აბაშიძე სოციალურ ქსელში პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადებებს ეხმიანება, სადაც საუბარია სალომე ზურაბიშვილის მიერ წარდგენილ სამოქმედო გეგმაზე სახელწოდებით „ქართული ქარტია“, რომელიც ოპოზიციის გაერთიანებას მოიაზრებს.**

აბაშიძის თქმით, სალომე ზურაბიშვილმა ე.წ. „ქართული ქარტიის“ შექმნით, რევოლუციური პროცესები დააანონსა. მანვე აღნიშნა, რომ „ნაცლუზერების“ ამ ახალ გაერთიანებას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „პოლიტიკური ქატო“. „არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ფორმალურმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ე.წ. „ქართული ქარტიის“ შექმნით, რევოლუციური პროცესები დააანონსა. კონსტიტუციის არაერთგზის დამრღვევ სალომე ზურაბიშვილს აქვს და ექნება აუსრულებელი ნატვრა – ის ვერასდროს გახდება სახელმწიფო მოღვაწე. საზოგადოებასთან დაპირისპირებული ურეიტინგო სალომე ზურაბიშვილი ვერ იქნება მაკონსოლიდირებელი ფიგურა. „ნაცლუზერების“ ამ ახალ გაერთიანებას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს აპოლიტიკური ქატო“, – წერს გია აბაშიძე.



## ზაალ ანჯაფარიძე:
# შალიკოს ფანჩატურიდან სალომეს ფანჩატურამდე

**– როგორც ამბობენ, ისტორია მეორდება ერთხელ ტრაგიკომედიის, მეორეჯერ კი ფარსის სახით.**

მეორდება ჩვენთანაც ისტორია. 2020 წლიდან 2024 წლამდე რადიკალურმა ოპოზიციამ განვლო

გზა „შალიკოს ფანჩატურიდან“ „სალომეს ფანჩატურამდე“ ისე, რომ პოლიტიკურად და მორალურად ერთი მილიმეტრითაც კი ვერ წაიწია. ან კი სად აქვთ ამის რესურსი.

მათი მორალური დეგრადაციის

კიდევ ერთი მაჩვენებელი იყო დეპუტატ ხატია დეკანოიძის განცხადება, რომ პირადად გადაგზავნა ევროპაში და აშშ-ში კოლეგა დეპუტატების სია, რომ მათთვის სანქციები დაედოთ, – წერს ანჯაფარიძე.

## დავით ქართველიშვილი:
# პარლამენტის თავმჯდომარე და გაოგნებული ჟუჟურნალისტები

**„ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის ბრიფინგს სოციალურ ქსელში ეხმიანება.**

შალვა პაპუაშვილის ბრიფინგი და გაოცებული, გაოგნებული ჟუჟურნალისტები...

– ევროკავშირმა (ბლა-ბლა-ბლა) – კანონი გაიწვიეთო, რატომ არ იწვევთ?

– იმიტომ რომ მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს მის მიღებას, ჩვენ კი უმრავლესობის მიერ მინიჭებული მანდატით გვაქვს ლეგიტიმაცია.

– ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ (ბლა-ბლა-ბლა) – კანონი გაიწვიეთო, რატომ არ იწვევთ?

– ვიმეორებ – იმიტომ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს მის მიღებას, ჩვენ კი უმრავლესობის მიერ მინიჭებული მანდატით გვაქვს ლეგიტიმაცია.

– აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა (ბლა-ბლა-ბლა) და, ფაქტობრივად, ბაიდენმაც – კანონი გაიწვიეთო, რატომ არ იწვევთ? ამათზე მეტი ვინმე არსებობს კიდევ დუნიაზე?

– არსებობს. მისი უზენაესობა და აღმატებულება – ქართველი ხალხი, რომლის უმრავლესობა მხარს უჭერს მის მიღებას, ჩვენ კი უმრავლესობის მიერ მინიჭებული მანდატით გვაქვს ლეგიტიმაცია.

ჟუჟურნალისტების რიგებში აშკარად შეიმჩნევა დამწვრის სპეციფიკური სუნი – მათი აზროვნების პლატების მწყობრიდან გამოსვლის გამო: აქეთ ბაიდენი, ჰარისი და იქით ვიღაც ქართველი ხალხიო? ჩვენ შორის ეს რუბიკონი – გადაულახავია...

# ქართული კულტურის ბრწყინვალე მკვლევარი



## აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე — 110

**ბრწყინვალე ქართველ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, ქართული კულტურის დიდ მოამაგეს, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა. ვახტანგ ბერიძე მეცნიერთა იმ დიდებული პლეადის ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი იყო, რომელმაც XX საუკუნის პირველ ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ქართულ მეცნიერებას.**

**ვახტანგ ბერიძის განმაზოგადოებელმა ნაშრომებმა ცხადყო და დაადასტურა, რაოდენ ფასეულია დიდტანიანი შრომები თუ წერილები, რომლებშიც პროფესიონალის უცდომელი თვალით დანახული და მეცნიერული აზროვნების ლოგიკურობით განჭვრეტილი წარმოგვიდგება ჩვენი უმდიდრესი კულტურის ძეგლები, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული სახეცვლილება, მისი თავისებურება და მხატვრული მიღწევები.**

ვახტანგ ბერიძე დაიბადა 1914 წლის 30 მაისს ქ. ქუთაისში. მისმა მამამ, ცნობილმა მეცნიერმა ვუკოლ ბერიძემ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი პეტერბურგში დაამთავრა, მერე ქუთაისში – ქართულის მასწავლებელი, შემდგომ კი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი და მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იყო. საგულისხმოა ისიც, რომ ვახტანგ ბერიძის ნათლია სახელგანთქმული ფსიქოლოგი და განწყობის თეორიის ავტორი დიმიტრი უზნაძე იყო.

1918 წელს ბერიძეების ოჯახი თბილისში გადმოვიდა. ვახტანგ ბერიძე 1920 წელს მიაბარეს ფრანგულ სკოლაში, 1922 წლიდან კი სწავლობდა თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, რომელსაც მიხეილ ზანდუკელი ხელმძღვანელობდა. 1936 წელს მან დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიუტუტი არქიტექტურის სპეციალობით და ცნობილი ხელოვნებათმცოდნის შალვა ამირანაშვილის ასპირანტი გახდა.

1936 წელი მის ცხოვრებაში სხვა მხრივაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. ამ წლიდან იწყება თანამშრომლობა გიორგი ჩუბინაშვილთან: ჯერ თბილისის სამხატვრო აკადემიაში, შემდგომ მუზეუმ „მეტეხში“ და ბოლოს, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.

**1941 წელს დაფუძნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მის შემადგენლობაში შევიდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომლის პირველი დირექტორი აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი იყო. ვახტანგ ბერიძე იმთავითვე მისი სწავლული მდივანი გახდა, 1960 წლიდან – დირექტორის მოადგილე, ხოლო 1973 წლიდან, გიორგი ჩუბინაშვილის გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტის დირექტორი. 1974 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.**

1940 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სავანის ტაძრის ხუროთმოძღვრებაზე, ხოლო 1958 წელს – სადოქტორო დისერტაცია სამცხის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე.

გიორგი ჩუბინაშვილის მოწაფემ თავისი დიდი მასწავლებლის მიერ დაფუძნებული ქართული სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერება ახალ სიმაღლეზე აიყვანა, საერთაშორისო ავტორიტეტი და რანგი მოუპოვა; მისი ძალისხმევით გამართული მრავალრიცხოვანი საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და მრავალ ენაზე გამოცემული წიგნების საშუალებით ქართულ ხელოვნებას მსოფლიო მნიშვნელობა მიენიჭა.

ვახტანგ ბერიძეს ყველაზე მეტად სიტყვა „ბრწყინვალე“ ესადაგება. ერთი შეხედვით ამ მართლაც ბრწყინვალე ადამიანის და მეცნიერის ცხოვრება უღრუბლო და წარმატებული ჩანს – სინამდვილეში კი მრავალი გაჭირვება, უბედურება და ტრაგედია, მრავალი გულისტკივილი და წყენა, უდიდესი პასუხსიმგებლობა და მუხლჩაუხრელი შრომა გამოიარა. 1988 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის გადაწყვეტილებით აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე გადააყენეს ინსტიტუტის დირექტორობიდან, თუმცა 1996 წელს, თანმშრომელთა დაჟინებული მოთხოვნით და ძალისხმევით, ის კვლავ სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტს და ცხოვრების ბოლომდე უძღვებოდა მას. მისი ცხოვრების ბოლო წლებიც მძიმე განსაცდელით იყო აღბეჭდილი – მან თავისი თვალით ნახა, ხელისუფლებისათვის უაზრო ბრძოლის ხანძარმა როგორ გაანადგურა მისი ინსტიტუტი, ქართველ მეცნიერთა მრავალი თაობის ნაღვაწი და მთელი მისი ცხოვრების შრომა. მიუხედავად ამისა, მას ოპტიმიზმი და მოღვაწეობის ჟინი მაინც არ დაუკარგავს და იმ საბედისწერო წლებში კვლავ იკისრა ინსტიტუტის წაძღოლა, არ აიცდინა განადგურებული ინსტიტუტის მართვისა და გადარჩენის უმძიმესი პასუხისმგებლობა.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი იყო მისი უდიდესი სიყვარულის და ზრუნვის მთავარი საგანი, მისი პიროვნების განუყოფელი ნაწილი, მისი ბედისწერა, მისი მრწამსი. ინსტიტუტში მისი თანამოაზრენი და კოლეგები იყვნენ ბრწყინვალე მეცნიერები: თინათინ ვირსალაძე, რუსუდან მეფისაშვილი, რენე შმერლინგი, ლევან რჩეულიშვილი, სარა ბარნაველი, ვახტანგ ჯაფარიძე, ლენკო მუსხელიშვილი, ზაქარია მაისურაძე, შალვა ხიდაშელი, ნიკო ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე და მისი მიმდევრების და მოწაფეების რამდენიმე თაობა.

მისთვის მაღალ რეგალიებს – აკადემიკოსი, დირექტორი და სხვა – განსაკუთრებული მნიშვნელობა არასდროს ჰქონია – იმდენად დიდი პიროვნება იყო ყოველგვარი რეგალიების გარეშეც, და მართლაც, როცა 1988 წელს მოხსნეს დირექტორობიდან, ამას არაფერი შეუცვლია არც მისი თანამშრომლებისთვის და არც საზოგადოებისთვის.

მისი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა, რომელიც არასდროს დაუკარგავს – არც მშობლების რეპრესირების დროს, არც მისი ძვირფასი მასწავლებლისა და ინსტიტუტის სამარცხვინო იდეოლოგიური სასამართლოს დროს, იყო ღირსება. ვახტანგ ბერიძემ, თავის კოლეგების მსგავსად, ერთხელაც არ დაიხია უკან, არ უღალატა თავის დიდ მასწავლებელს. საგულისხმო და აღფრთოვანების ღირსია ის ფაქტი, რომ იმ საშინელ და საშიშ წლებში მთელს ინსტიტუტში ერთი ადამიანიც კი ვერ დაითანხმეს, რომ გ. ჩუბინაშვილისთვის დაედო ბრალი და იგი, როგორც იდეოლოგიური მტერი, „ემხილებინა“.

ვახტანგ ბერიძეს არც შემდგომ უღალატია თავისი პრინციპებისთვის: ფარისევლობით და სისასტიკით განმსჭვალულ 70-იან და 80-იან წლებში – ენის თაობაზე ატეხილი ბობოქარი გამოსვლებისას, მუზეუმებს თავსდატეხილი განსაცდელის, ტრანსკავკასიური მაგისტრალის განხილვებისა თუ 9 აპრილის ტრაგედიისას.

ფართოა და მრავალმხრივი ვახტანგ ბერიძის, როგორც მეცნიერ-მკვლევარის ინტერესთა სფერო. მისი კვლევის უმთავრესი საგანი როგორც ძველი, ასევე ახალი და თანამედროვე, ქართული ხუროთმოძღვრებაა. გარდა უამრავი წერილისა და ნარკვევისა, რომლებიც სხვადასხვა ტიპის არქიტექტურის ცალკეულ ძეგლს ეძღვნება, სამეცნიერო წრეებში ფართოდ არის აღიარებული მისი ფუძემდებლური გამოკვლევები: „სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII-XVI საუკუნეები“ (1955); ორტომეული „XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძვრება“ (1986 და 1994 წლები); „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“ (1974); „ქართული გუმბათური არქიტექტურის განვითარება“ (1983); ხოლო მონოგრაფიაში, რომელიც ტაო-კლარჯეთის ძეგლებს ეხება (1981), პირველადაა ასეთი სისრულით წარმოჩენილი საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ხუროთმოძღვრული ხელოვნების მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა, მისი სრულიად განსაკუთრებული როლი შუა საუკუნეების ქართული კულტურის ისტორიაში. სრულიად უნიკალურია ვახტანგ ბერიძის ორტომეული „თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლებში“ (1960), რომელშიც არა მხოლოდ ჩვენი დედაქალაქის ხუროთმოძღვრება, არამედ თვით მისი სული არის აღბეჭდილი და გაცოცხლებული. ვახტანგ ბერიძე იმთავითვე თვლიდა, რომ ქალაქს დაცვა და რეაბილიტაცია სჭირდება: „შევუნარჩუნოთ თბილისს თბილისური სახე“.

ვახტანგ ბერიძე აქტიურად იყო ჩართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. მისი დამსახურებით და მონაწილეობით დამტკიცდა 1985 წელს თბილისის დაცვითი ზონები, ხოლო 1986 წელს – ძეგლების ნუსხა, რაც დიდი მიღწევა იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროს განვითარებისთვის. ბატონი ვახტანგი ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და აქტიური მონაწილე იყო.

ამიტომ იყო მისი შრომა მაღალ დონეზე შეფასებული და სათანადოდ დაჯილდოებული. იგი იყო ღირსების ორდენის კავალერი (1994); ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის მფლობელი (1984); თბილისის საპატიო მოქალაქე (1986); საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე (1964); საქართველოს სახელმწიფო პრემია, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში წიგნისთვის „XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება“, თბილისი, (1994), საპატიო ნიშნის ორდენი; ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია.

იგი მხოლოდ ხუროთმოძღვრებაზე როდი მუშაობდა, ხელოვნების სხვა სფეროებშიც ჩინებულად ერკვეოდა: ძველი ფერწერა (1948 წელს, მცხეთის სვეტიცხოვლის „ცხოველი სვეტის“ მოხატულობა წმ. ნინოს ცხოვრების სცენებით; ნაქარგობა (მონოგრაფია ქართული ნაქარგობის ისტორიიდან –1983), თანამედროვე ხელოვნების ყოვლის მომცველი ისტორია (რუსულად გამოცემული ე. ეზესკაიასთან თანაავტორობით) ახალი ხელოვნება: ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ნ. ფიროსმანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები. საგანგებოდ უნდა ვახსენოთ მის მიერ შედგენილი ქართველ ოსტატთა ერთგვარი ენციკლოპედია („ძველი ქართველი ოსტატები“ 1967).

ვახტანგ ბერიძე ყოველთვის დინჯი და კორექტული იყო. თუ ვინმე გაბედავდა მისთვის უძვირფასესის – ქართული მეცნიერებისა და ქართული ხელოვნების – ავგად ხსენებას, იგი შემართულ, უშეღავათო პოლემისტად გვევლინებოდა და არც ზეპირ პაექრობას და არც წერილობითს არიდებდა თავს და ამავე დროს ჩვეულ სიდარბაისლეს ინარჩუნებდა.

ორატორული ნიჭით დაჯილდოებული, უბადლო მოქართულე, არანაკლებ დახვეწილად საუბრობდა და წერდა ფრანგულად, რითიც ყველას აოცებდა. სესიებსა თუ კონგრესებზე წარდგენილი მისი სავსებით აკადემიური მოხსენებები ყოველთვის სულმოუთქმელად, სათავგადასავლო მოთხრობებივით აღიქმებოდა.

**ვახტანგ ბერიძე, ალბათ, ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანი იყო ქართულ საზოგადოებაში, მრავალთა და მრავალთათვის მაღალი პროფესიონალიზმის, ზნეობის, სათნოების ეტალონი. ღრმად განათლებული, ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული, იგი თავდადებულად და დაუცხრომლად შრომობდა თავისი ქვეყნის კულტურის სასიკეთოდ. იგი არა მხოლოდ ქართული ხუროთმოძღვრების და სახვითი ხელოვნების უბადლო მცოდნე იყო, არამედ შესანიშნავად ერკვეოდა მუსიკის, თეატრის, ლიტერატურის, ისტორიის საკითხებში.**

განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება ახალგაზრდა კოლეგებისა და სტუდენტებისადმი. ნიშანდობლივია, თუ როგორი სიამაყით ამბობდა: ,,ჩვენი ინსტიტუტი ყველაზე ახალგაზრდააო'', გულისხმობდა რა ახალგაზრდა მეცნიერთა დიდ რაოდენობას სხვა სამეცნეირო დაწესებულებებთან შედარებით.

ვახტანგ ბერიძე ახალგაზრდობიდანვე ჩაება პედაგოგიურ მოღვაწეობაში. 1935 წლიდან კითხულობდა ხელოვნების ისტორიის კურსს სამშენებლო ინსტიტუტში, 1937 წლიდან კი – სამხატვრო აკადემიაში, პარალელურად ბატონი ვახტანგი მასწავლებლობდა თეატრალურ ინსტიტუტშიც.

მთელი მისი ცხოვრება იყო დაუღალავი და უანგარო მსახურება გიორგი ჩუბინაშვილის მიერ მისთვის ნაანდერძევი დიდი საქმისა – ქართული ხელოვნების შესწავლის და ჯეროვანი შეფასებისა, მსოფლიო საგანძურში მისი ჩართვისა. თავისი დიდი ავტორიტეტის მოშველიებით მან საბჭოთა წყობის პირობებში დაუჯერებელ შედეგებს მიაღწია – ვგულისხმობთ უცხოელი კოლეგების პერმანენტულ ვიზიტებს საქართველოში.

ვინც კი მაშინ ამ დარგში სახელოვანი მეცნიერი იყო, ყველას ჩამოყვანა მოახერხა.

სამ წელიწადში ერთხელ, მონაცვლეობით იტალიასა და საქართველოში, შემდეგ კი საბერძნეთშიც, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმები უდიდესი კულტურული მოვლენა გახდა, რაც ამდენი წლის შემდეგაც ყველას კარგად ახსოვს. ამ სიმპოზიუმებმა ძლევამოსილად გაარღვიეს ის ბარიერები, რომლებიც ქართული კულტურის და სამეცნიერო მიღწევების ჯეროვან ცოდნასა და დაფასებას აბრკოლებდა მსოფლიო მასშტაბით; გააცნეს მსოფლიოს ქართველთა შემოქმედების ნაღვაწი და მისი მაღალი ღირებულება; საფუძველი ჩაუყარეს ჩვენთვის ესოდენ საჭირო სამეცნიერო კონტაქტებს, რასაც სხვასთან ერთად, უცხოურენოვანი ბრწყინვალე გამოცემებიც მოჰყვა. ყოველივე ეს ბატონი ვახტანგის ჩანაფიქრი იყო, მის მიერ დაგეგმილი, მისხალ-მისხალ აწონილ-შეფასებული, მის მიერვე განხორციელებული.

იმედი გვაქვს, რომ ამ მართლაც დიდი ადამიანისა და მეცნიერის მიერ დაწყებული ყველა საქმე კვლავაც გაგრძელდება და კიდევ უფრო მეტ პატივსა და დაფასებას მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.**

№63. ოთხშაბათი, 29 მაისი, 2024 წელი



## ჯემალ დავლიანიძე

# ღვთისა და მამულისთვის თავშეწირული

**„როცა ექსპრეზიდენტის (ზვიად გამსახურდია ჰყავდა მხედველობაში!) მომხრეებზე ვლაპარაკობთ, მგონია ცოტას ვაჭარბებთ, რადგან კაცს, რომელიც ცნობილ ტერორისტად არის აღიარებული არა მგონია მხარდამჭერები ჰყავდეს. ტერორისტებს არსად არავის არ უყვარს“. ეს სიტყვები გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1992 წელს!**



**ჩვენ** საერთოდ დაგვავიწყდა, რომ აფხაზებს კი არა, რუსებს ვებრძოდით. რუსეთმა ათი წლის წინ აფხაზეთის კარტი გაითამაშა. ამის შემდეგ მოვლენები ასე ვითარდება, - 19 სექტემბერს მოსკოვიდან თბილისში დავბრუნდი და იმ საღამოსვე სოხუმში გადავფრინდი. ბატონი ედუარდი მინისტრთა საბჭოს კაბინეტიდან განკარგულებას იძლეოდა, მხედრიონელები დამოუკიდებლად იბრძოდნენ, ყარყარაშვილი ქაოტურად მოძრაობდა, ერთი სიტყვით, ერთიანი მართვა არ იყო. ბატონ ედუარდს კიდევ ერთხელ ვთხოვე, რომ რუსის ჯარებით ომი შეგვეჩერებინა, რაზეც უარი თქვა, თუმცა ამას მნიშვნელობა აღარც ჰქონდა.

***— ჟიული შარტავას დაღუპვის დეტალების შესახებ რა იცით?***

— ბატონ ედუარდს ჟიულის ბედი აწუხებდა. 27 სექტემბერს მე და ჩერქეზია საღამოს უკვე მოსკოვში ვიყავით პასტუხოვთან. პასტუხოვის კაბინეტში სოხუმიდან არძინბამ დარეკა და გვითხრა, რომ ანქვაბი იქნებოდა პასუხისმგებელი ჟიულის უსაფრთხოებაზე და მას ადლერში ქართველებს გადასცემდნენ, მაგრამ ჟიული შარტავა გზაში მოკლეს. მე ბატონ ჟიულის ვაფრთხილებდი: მამაცობა კარგი თვისებაა, მაგრამ უნდა გაეთვალისწინებინა, რომ პირველად შეხვედრა ბოევიკებთან ექნებოდა, რომლებიც მას არ დაინდობდნენ. ჯერ კიდევ 23 სექტემბერს მოსკოვიდან მას შევთავაზე, სოხუმიდან წამოსულიყო. რუსებს უკვე ნათქვამი ჰქონდათ ჩვენთვის – ახლა დროა, აფხაზეთის კი არა, საკუთარი თავის გადარჩენაზე იფიქროთო“.

აი, ამგვარია გენერალ შარაშენიძის მოგონებები, სადაც მრავალისმეტყველი და უცნობი ფაქტები იკვეთება!

ზვიად გამსახურდიამ მრავალს მისცა შანსი, მომსახურებოდა საკუთარ სამშობლოს და ამდენივე სულგაყიდულმა, უმეცარმა ისიც ვერ გაარკვია, რომ ეროვნული ხელისუფლებისა და მისი პრეზიდენტის ღალატი იგივე ქვეყნის უბედურება იყო!

დღესაც კი ბევრი გაიძახის – უნდა გადამდგარიყო და თვითონაც გადარჩებოდა, სამშობლოცო! საქმეს ისე წარმოადგენენ, თითქოსდა ქვეყანა მართლაც ორად იყო გახლეჩილი, მაშინ, როცა ერთ მხარეზე 3 მილიონ 266 – 285 ათასი ამომრჩეველი, ხოლო მეორე მხარეზე 17 400, ჰაი და ჰა, გამრავლებული ორზე თუ იყო!

ამავე დროს, ზვიადის საკუთარი ნებით გადადგომა განა არ იქნებოდა საქართველოს მოსახლეობის 87 პროცენტის ღალატი და ხელისუფლება ხომ გვეყოლებოდა,კანონიერად მოვარდნილი ყაჩაღებით სავსე!

გავიხსენებ ერთ პატარა ეპიზოდსაც, რომ თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ - 1991 წლის 22 დეკემბრის დილის 3-4 საათზე რა მდგომარეობა სუფევდა თბილისში, მთავრობის სახლთან და შემოგარენში:

მე, როგორც პრეფექტი, 1991 წლის შემოდგომაზე თბილისში ატეხილი დავიდარაბის დროს თითქმის ყოველდღე ჩამოვდიოდი კასპიდან. იმ დღითაც, 22 დეკემბერს მთავრობის სასახლის ფოიეში ვიდექი მეგობრებთან ერთად. შუაღამე გადასული იყო, როცა კიბეებზე გამოჩნდა ზვიადი, შორიდან დამინახა თუ არა, ჩემსკენ გამოემართა, მომესალმა და მკითხა: „როგორ ფიქრობ, ე.წ. ოპოზიცია ომის დაწყებას გაბედავს?“

გაოცებულმა გავიფიქრე, - მე რატომ უნდა მეკითხებოდეს პრეზიდენტი, რაიონიდან ჩამოსულს, როცა სპეცსამსახურები ჰყავს-მეთქი.

ჩემი გაკვირვება შეამჩნია და ახსნა-განმარტების გარეშე მითხრა: ახლავე ჩადი დაბლა, ანდა, შენი თანმხლები ბიჭები გაგზავნე, დაათვალიერონ - რა მდგომარეობაა, შეიარაღებული ხალხი თუ არიან და მე აქ ვიქნები, დაგელოდებიო!

ნახევარ საათში მოვახსენე: ომს მხოლოდ ერთი გასროლაღა აკლია, ძალიან ბევრნი არიან ალექსანდროვის ბაღში, კოლმეურნეობის მოედანზე და ბარათაშვილის ხიდთან-მეთქი...

იქვე ძველი სკამები ელაგა. ზვიადი დამწუხრებული ჩამოჯდა... ამ დროს ვიღაც, ჩემთვის უცნობი სამხედრო გამოჩნდა, ზვიადს მიუახლოვდა და საუბარი გაუბა!

სულ მალე ზვიადს სახე გაუნათდა. სამხედრო პირი მოშორდა თუ არა მიმიხმო:

– შენ დაღლილი ხარ, სანერვიულო არაფერია, წადი კასპში, დაისვენე, აქ ესენი

ვერაფერსაც ვერ გაბედავენ!

რა თქმა უნდა გახარებული გავემგზავრე, დილით, დაახლოებით 11 საათზე პრეფექტურაში მივედი და მისაღებში ჩართული ტელევიზორიდან ომის ჭექა-ქუხილი შემომეფეთა!

* * *

**ჩემი** თანამშრომლები ცრემლიანი თვალებით შემომაცქერდნენ – ომი დაიწყო თბილისში ბატონოო!

აი, სწორედ ამგვარმა გარემოებამ ათქმევინა შემდგომში ზვიადს – თითქმის ყველამ დამტოვა მარტოო!

ამგვარი გაწბილება და უბედურება მრავლად იყო. თუნდაც ყაზბეგის შეხვედრა, როცა ელცინი თითქოსდა დაგვეთანხმა კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე და მერე „დასავლეთელი მეგობრების“ კარნახით ჯარი მოგვაყენა!

მერე კი მთელმა მსოფლიო მმართველობამ შევარდნაძისადმი ძმური მხარდაჭერა გამოიჩინა იმდაგვარი, ამ უკანასკნელმა გაბედა და ზვიად გამსახურდია „მსოფლიო ტერორისტად“ გამოაცხადა!

აბა ვის წამოსცდებოდა ეს სიტყვები თუ არა ევროამერიკელთა მიერ გათავხედებულ-გათამამებულ შევარდნაძეს:

**„როცა ექსპრეზიდენტის (ზვიად გამსახურდია ჰყავდა მხედველობაში!) მომხრეებზე ვლაპარაკობთ, მგონია ცოტას ვაჭარბებთ, რადგან კაცს, რომელიც ცნობილ ტერორისტად არის აღიარებული არა მგონია მხარდამჭერები ჰყავდეს. ტერორისტები არსად არავის არ უყვარს“. ეს სიტყვები გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1992 წელს!**

აქ კითხვაცაა: მაინც ვინ აღიარა მსოფლიოში „ცნობილ ტერორისტად“ ზვიადი?

პასუხი ცალსახაა: იმ ევროამერიკამ, ვინც შევარდნაძეს „დიდ პოლიტიკოსს“ უძახდა, საპატიო დოქტორის ხარისხს ანიჭებდა და სახელმწიფო დეპარტამენტში მრავალჟამიერსაც უმღეროდა!

და ბოლოს: ზვიადის ტერორისტად აღიარება გახლდათ გაცემული სანქცია მისი ლიკვიდაციისა!

ესეც ჩვენი „დემოკრატიული მსოფლიო“!

აქვე აუცილებლადაა სათქმელი ქართველი ერის წინაშე შევარდნაძის მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაული როცა მსოფლიოს ე.წ. წამყვან სახელმწიფოთა მიერ წაქეზებულმა საქართველოს უმშვენიერესი კუთხე – სამეგრელო ააწიოკა და დაარბია!

ამ მართლაც მოღალატემ – დანარჩენი საქართველოს კუთხეებიდან შეკრებილი



ლაშქრით ანუ მხედრიონ-გვარდიით ააწიოკა ის კუთხე, სადაც შეიძლებოდა კვლავაც აგიზგიზებულიყო ისაკ ჟვანიას დროინდელი სეპარატიზმი!

და, ჭეშმარიტ ქართველს განა შეეძლო სამეგრელოს სასტიკი აოხრების შემდეგ სახალხოდ განეცხადებინა:

**„– სწორია, რომ შევედით სამეგრელოში. ეს ჩვენ ადრეც უნდა გაგვეკეთებინა. ყველამ უნდა მიიღოს საკადრისი პასუხი. ჩვენ უნდა გავანადგუროთ პროვინციული ფაშიზმი და განვახორციელეთ კიდეც, როდესაც ბოროტ ძალას ებრძვი, ზედმეტია წუწუნი გაუპატიურებაზე და მსხვერპლზე. მე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო“.**

ეს არაადამიანური, დემონური განცხადება შევარდნაძემ გააკეთა სატელევიზიო ინტერვიუს დროს 1994 წლის 24 ივნისს, იური ციკოლიასთან!

აქ კომენტარი ისეთი გაუგონარი სიტყვებით შეიძლება აღსრულდეს, რისი ხმამაღლა თქმა, უბრალოდ უხერხულია, მაგრამ, ხომ ვიცით, ჩვენს გარშემო რამდენი ასეული არსებაა, ვისაც შევარდნაძის მიერ გამოცხადებული მადლობა ეკუთვნოდა?

საკმარისია, ჩავიხედოთ ჯაბა იოსელიანის წიგნში „სამი განზომილება“, სადაც სიტყვასიტყვით ვკითხულობთ:

**„მე და შევარდნაძე ფილარმონიაში დაგვიანებით მივედით. შეკრება ძლიერ ექსპრესიულ-ემოციური გამოდგა. წამყვანმა (აქ შეგნებულად არ ვასახელებ ვინაობას! ჯ.დ.) დიდი პათოსით მოითხოვა, რომ ზვიად გამსახურდია ერის მოღალატედ გამოგვეცხადებინა, რასაც მოჰყვა მქუხარე ტაში და მოწონების შეძახილები... ბოლოს ჩემთან მოვიდა ჯგუფი პარლამენტიდან (საკმაოდ ცნობილი პიროვნების თაოსნობით, რომელსაც არ ვასახელებ და ვისაც სურს, ჯაბას წიგნი ყურადღებით გადაიკითხოს! ჯ.დ.). განმიცხადეს, რომ შევარდნაძეს შეუთანხმდნენ და მე უნდა ამეღო ძალაუფლება... კომიტეტის შემადგენლობაში შევიყვანე (სიას კვლავაც არ ჩამოვთვლი! ჯ.დ.)... ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კისრულობს 200-კაციანი რაზმის შევსებას და დასავლეთ საქართველოში გაგზავნას... პოეტი (აქ დასახელებულია პიერი, რომელიც საქართველოს დღევანდელი ჰიმნის ტექსტის ავტორია! ჯ.დ.) ინტელიგენციაში ფულს აგროვებს იარაღის და სხვა დანიშნულებისათვის“...**

გეთანხმებით, რომ ყოველივე მძიმე მოსასმენია და სამწუხაროდ ჯაბა იოსელიანის წიგნში გაცილებით მეტი საშინელებებიცაა...

ამიტომაც ვწყვეტ ციტირებას!

ზვიადმა თავის ბრწყინვალე ესეში „დილემა კაცობრიობის წინაშე“ ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში ბრძანა:

**„ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ იდეისათვის და არა ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის!**

**ჩვენ უნდა გავიღოთ მსხვერპლი, არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს მარადიულ მრწამსს, თუნდაც რომ სიკვდილის წინაშე მოგვიხდეს წარდგომა!“**

ზვიადმა თქვა და კიდეც შეეწირა მსხვერპლად მშობლიური ქვეყნის თავისუფლებას!

1993 წლის მიწურულს, როცა საქართველოში დაბრუნებული ზვიად გამსახურდია აფხაზეთში, კერძოდ ილორის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს რუსეთის შეიარაღებული ძალების ორმა მაღალჩინოსანმა, რომლებმაც მას უჩვენეს ერთი ფურცელი და შესთავაზეს ხელი მოეწერა.

ზვიადმა ყურადღებით გადაავლო თვალი ტექსტს, მცირე ხანს შეყოვნდა და დამაჯერებლად უთხრა:

– მე არ შემიძლია ამ იდეაზე თანხმობის მოცემა!

ერთ-ერთმა ოფიცერმა კი თითქმის დანანებით უთხრა:

– ბატონო პრეზიდენტო, წარმოდგენილი გაქვთ რა შეიძლება მოჰყვეს თქვენს უარს?

პასუხი მტკიცე და ცალსახა გახლდათ:

– ვიცი, მაგრამ ეს შეუძლებელია!

ბატონებო, ამ დიალოგში აშკარაა: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო საუბარი, ხოლო შემოთავაზება კი ითვალისწინებდა მოსკოვში (და არა მხოლოდ მოსკოვში!) შემუშავებულ გეგმას – საქართველო გაყოფილიყო ორად, ანუ – დასავლეთში შექმნილიყო სამეგრელო-აფხაზეთის რესპუბლიკა, სადაც პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია მოიაზრებოდა!

მაშასადამე, საქართველოს ორად გაყოფას, რადგან ორობაზეა საქმე, მეორე მხარე ანუ ევროამერიკაც ემხრობოდა.

ეს ჩანაფიქრი, რომ განიხილებოდა, ამას მოწმობს საქართველოს მაშინდელ უკანონო ხელისუფლებაში მეორე კაცად მყოფი ჯაბა იოსელიანის წიგნში („სამი განზომილება“) დაბეჭდილი მოგონება, სადაც ვკითხულობთ:

**„...ვზივარ ერთ-ერთ კაბინეტში, ერთ-ერთ კაცთან, ვისი დასახელებისაგანაც თავს ვიკავებ. იმედი მაქვს, რომ მივიღებთ რაიმე იარაღს. კაბინეტის პატრონს მაგიდაზე გადაშლილი აქვს საქართველოს რუკა. „ხედავთ, ჯაბა, ამ სამ ტანკს“, – თითით მაჩვენებს! „ჰო, – ვეუბნები – ეს ზესტაფონია, მერე - ვეკითხები! „მერე, ის რომ თუ ამ ორ-სამ დღეში აბაშას არ დაიბრუნებთ, საქართველო გაიყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთი და დასავლეთი! აღმოსავლეთში იქნება შევარდნაძე! დასავლეთში კი – გამსახურდია!“**

დასაწყისი იხილეთ N60, 61-62-ში

გაგრძელება იქნება

## ფელეტონურ-პაატაური ჟურნალისტიკა!!!

# რად შეიძლება იქცნენ ჟურნალიფსიტები?

***წინა დრაკონის წელიწადს საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთ კარგ ჟურნალს უშვებდა. ასევე ერქვა: „მაუწყებელი“.***
***ჰოდა, ამ ჟურნალში ერთი მორგენალი სტრიქონივით რუბრიკა მიმყავდა „გუტენბერგიდან ცუკერბერგამდე“.***
***ეს ფელეტონი სწორედ ამ რუბრიკით გამოქვეყნდა 2012 წლის გაზაფხულის ნომერში. არ ვიცი, ახლა რა ჯანდაბამ გამახსენა და რატომ მომინდა ამ სივრცეში მისი გამეორება, მაგრამ ის კი ვიცი, რატომ გადავწყვიტე, რომ ამ მეორე პუბლიკაციას წინ, ჩემი სტუდენტების, სხვათა სტუდენტებისა თუ უკვე ნასტუდენტართა საყურადღებოდ, დავით გურამიშვილის სიტყვები წავუმძღვარო: შენა გწადს აწ რომელითა?***

**პაატა ნაცვლიშვილი**



### ჟურნალიფსიტები

ასე ვეძახი მე ჩემს სტუდენტებს, მომავალ ჟურნალისტებს. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ხშირად ვკამათობთ სხვადასხვა საკითხზე, ჩემი ეს ტერმინი არც ერთ ჟურნალიფსიტას არ გაუპროტესტებია, პირიქით — ბევრს იგი ძალიანაც მოსწონს.

●

აი, რას ვწერდი სტუდენტურ ჟურნალ **„ობოობას“** მეორე ნომრის წინასიტყვაობაში 2011 წელს (ის ჟურნალი მეტისმეტად მცირე ტირაჟით დაიბეჭდა, არ იყიდება და მხოლოდ ამიტომ ვახდენ საკუთარი თავის ციტირებას):

**„ამ ჟურნალიფსიტებიდან ხამსაც გაიზრდება, მფრინავი თევზიც, კალმახიც, ორაგულიც, ქალთევზაც და ნამდვილი ოქროს თევზიც. ეს მათზეა დამოკიდებული. ჟურნალის ამ ნომრის ავტორთა შორის მე მფრინავი თევზებიც მეგულება და ოქროსიც. ვნახოთ. დრო გამოაჩენს.“**

●

ხამსაზე ნაკლები მე იმ ჟურნალში თევზი არ მიხსენებია. არადა, ხამსას რა უშავს, ჟურნალიფსიტები თავიანთი ინტელექტუალურ-ზნეობრივი დონიდან და გარემო პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება ისეთ არსებებად ჩამოყალიბდნენ, წყლიდან თავი არ ამოეყოფოდეთ. **ჟურნალიფსიტები** შეიძლება იქცნენ **სუტ**ჟურნალისტებად, **ლეიბ**ჟურნალისტებად, **დურ**ნალისტებად, **ზურ**ნალისტებად, **ყურ**ნალისტებად, **შურ**ნალისტებად, **ჩურ**ნალისტებად, **ცურ**ნალისტებად, **ჭურ**ნალისტებად და უბრალოდ **ურ**ნალისტებად.

ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული ამათგანი:

### სუტჟურნალისტიკა

**ცრუ**ჟურნალისტიკა. იოსებ გრიშაშვილს თავის **„ქალაქურ ლექსიკონში“** ორი ანალოგიური სიტყვა აქვს შეტანილი: **„სუტკნეინა — ცრუკნეინა, კნეინას ყალბად მიმრქმელი. ტყუილი კნეინა („კაცია ადამიანი“ თ. VI). იხ. ცრუმეცნიერი“.** ვიხილოთ ცრუმეცნიერი: **„ცრუმეცნიერი — სიტყვა „სუტ“ ძალიან უყვარს ილიას (შდ. სუტკნეინა „კაცია ადამიანში“)**. სიტყვა **„სუტ“** სომხურია და ნიშნავს **„ცრუს“**-ს. (**„ეს ჩვენი გერმანიაში გაბრძნობილი სუტმეცნიერი“** — ილია, ტ. IX, გვ. 138.)“. **სუტ**ჟურნალისტიკის ერთ მაგალითად გამოდგება უხვად ილუსტრირებული ვრცელი საჟურნალო პუბლიკაცია პირობითი სათაურით: „ყურებამდე შეყვარებულმა ნინჩო კუსკუსიშვილმა თავის რჩეულთან შეხვედრის წინ გუჩის ექსკლუზიური პიჯაკი იყიდა!“

### ლეიბჟურნალისტიკა

პიროვნულ ერთგულებაზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა. შდრ. **„ლეიბგვარდიას“** ნებისმიერ ლექსიკონში. სამწუხაროდ, ზოგიერთ ჟურნალიფსიტას აქ სიტყვა „ლეიბ“-ი ქვეშაგების მნიშვნელობითაც ესმის.

### დურნალისტიკა

**სულელური** ჟურნალისტიკა. **Дурь** (რუს.) - სისულელე, სიბრიყვე.

### ზურნალისტიკა

**ტაშ-ფანდურა** ჟურნალისტიკა. „ტაშის“ ნაცვლად სხვა სამასოიანი სიტყვა შეიძლება ჩაიწეროს. საბას განმარტებით, **„ზურნა სხვათა ენაა, ქართულად სტვირი ჰქვიან“.**

### ყურნალისტიკა

**ყურით მოთრეული ამბების** ჟურნალისტიკა. აქ უნდა ვიგულისხმოთ ის ჟურნალისტებიც, რომლებსაც სიტყვები მხოლოდ ყურით აქვთ აღქმული და დაბეჭდილი არსად წაუკითხავთ და რომლებიც „კიდიუარს“ წერენ „კოტდივუარის“ ნაცვლად.

### შურნალისტიკა

ერთი მხრივ **შურიანთა**, მეორე მხრივ კი ათასნაირი **შარიშურის** ამსახველი ჟურნალისტიკა.

### ჩურნალისტიკა

**იხ. მეგრული ენის უცენზურო სიტყვათა ლექსიკონი** და ყველაფერი ნათელი გახდება. მავანმა შეიძლება რუსული იდიომატური გამოთქმების ლექსიკონშიც ჩაიხედოს და **„чур меня!“** ნახოს. მისი ნებაა.

### ცურნალისტიკა

**ძროხების** ჟურნალისტიკა. ზოგი ჟურნალისტი, ძალიან ამაყობს თავისი ძუძუებით. **„ძუძუს“** ძროხის შემთხვევაში **„ცური“** ჰქვია. **შდრ. ჩურნალისტიკას.**

### ჭურნალისტიკა

რასაც რო ჩასძახებ, იმის ამოძახების ჟურნალისტიკა. **შდრ. ანდაზას „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო“.** ქვევრი იგივე ჭურია. გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“** 17 თებერვლის ნომერში იუწყებოდა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ“, რომელშიც წერია, რომ (ციტატის დასაწყისი) „ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვროს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე გავრცელებულ ღვინის დასაყენებელ და შესანახ თიხის უნიკალურ ჭურჭელს — ქვევრს“ (ციტატის დასასრული). გიხაროდეთ, **ჭურ**ნალისტებო!

### ურნალისტიკა

ადვილი მისახვედრია, რომ აქ **ურნა** და **ნაგავი** იგულისხმება, მაგრამ ტერმინი მთლად ზუსტი არ არის, რადგან ნაგავი ურნის გარეთაც არსებობს. **ნაგავში ქექვის ჟურნალისტიკას** ამერიკის შეერთებულ შტატებში დაედო სათავე XIX საუკუნის შუა ხანებში, თუმცა ითვლება, რომ კლასიკური სახით ჟურნალისტიკის ეს მიმდინარეობა **1902 წელს** იწყება კორუფციის წინააღმდეგ მიმართული **ჯოზეფ სტეფენსის** სტატიით. ნაგავში მქექავები (ინგლისურად — **მაკრეკერები**) ერქვათ რეპორტიორებს, რომლებიც მამხილებელ თემებზე სპეციალიზდებოდნენ. **ჯოზეფ სტეფენსის** გარდა, ყველაზე ცნობილი ამერიკელი **ურ**ნალისტები იყვნენ **ჯეკობ რიისი, ეპტონ სინკლერი** და **აიდა ტარბელი.**

ამათ გარდა ჩემეული კლასიფიკაციით, არსებობს კიდევ **ტოპ**ჟურნალისტიკა და **თოფ**ჟურნალისტიკა.

### ტოპჟურნალისტიკა

**უმაღლესი** ჟურნალისტიკაა და **ტოპ**ჟურნალისტები ტოპმოდელებივით არიან.

### თოფჟურნალისტიკა

**ეს არის ჟურნალისტიკა, რომელსაც ადამიანის მოკვლა შეუძლია.**

**თოფ**ჟურნალისტები ყოველდღე კლავენ ხალხს და არანაკლებ საშიშნი არიან საზოგადოებისათვის, ვიდრე მართლა თოფიანი კაცები.

### მკურნალისტიკა

არსებობს თოფჟურნალისტიკის საპირისპიროდ და მის დასაბალანსებლად. გარდა საკუთრივ სამედიცინო ჟურნალისტიკისა (**„ექიმი გვირჩევს“** და მისთ.), **მკურ**ნალისტიკის საუკეთესო ნიმუში გახლავთ მშვენიერი სატელევიზიო ციკლი **„იმედის გმირები“**, რომელიც სასოების ერთგვარ კუნძულად მოჩანს ოფიციალური ქართული ტელევიზიების ამღვრეულ და აგრესიულ ოკეანეში.

არის ჟურნალისტიკის კიდევ ერთი სახეობა:

### ბუტერბროდული ჟურნალისტიკა

ეს გახლავთ ჟურნალისტიკის სახეობა, როცა ამა თუ იმ ზემოთ ჩამოთვლილი სახეობის მიმდევარი პრეზენტაციას არ აცდენს, ბუტერბროდების ჭამით სკდება, ზედაც რაიმე სასმელს აყოლებს, მაგრამ **არაფერს წერს, ან თუ წერს, არავინ უქვეყნებს რადგან ქვეყნად უფრო მნიშვნელოვანი ამბები ხდება,** ვიდრე ის კონკრეტული პრეზენტაცია იყო.

ამათთან ერთად, ჩემეული კლასიფიკაციით ჟურნალისტურ ამქარში რელიეფურად გამოირჩევიან **წ**რეპორტიორები და **ყ**ორესპონდენტები.

### წრეპორტიორები

ერთი **ჩაკეტილი წრის ელიტური ჟურნალისტები** არიან, რომლებიც მონარქის, პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან რომელიმე სტარის ამალაში შედიან, მასთან ერთად დაფრინავ-დამოგზაურობენ და მხოლოდ მის სახოტბო მასალებს ამზადებენ.

### ყორესპონდენტები

კი, რაკი ყველა სფერო და ყველა დარგი ერთნაირად (არ) იციან, ვერ ახერხებენ თემატურ კონცენტრაციას და **ღობე-ყორეს ედებიან.**

●

ერთგან უკვე მიწერია და, რაკი თემამ მოიტანა, აქაც უნდა გავიმეორეო:

**2070** წლის წინათ, **ძველი წელთაღრიცხვის 59 წელს იულიუს კეისრის** ბრძანებით რომში გამოსვლა დაიწყო რომაელი ხალხის ყოველდღიურმა აქტებმა, ანუ ოქმებმა (**Acta diurna populi romani**). ეს იყო თიხის ან ხის დაფებზე დაწერილი ამბები სენატის საქმიანობის შესახებ, რომელთაც სხვადასხვა სახის არაერთი განცხადებაც ერთოდა. ჟურნალისტიკის არქეოლოგები და ისტორიკოსები ამ აქტებს თანამედროვე ბეჭდური გაზეთების წინამორბედებად თვლიან. **აქტადიურნა** ლაკონიურობითა და სიმარტივით გამოირჩეოდა, მისი ორიგინალისაგან ასლებს აკეთებდნენ და იგი მასმედიის პირველ ტირაჟირებულ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს. წერა-კითხვის მცოდნე ხალხს, ვინც აქტადიურნასათვის ახალ ამბებს, განცხადებებსა და ჭორებს აგროვებდა და ამუშავებდა **დიურნალისტები** ერქვათ. ისინი თანამედროვე რეპორტიორების წინაპრები არიან და ევროპაში ბეჭდური პრესის გავრცელების კვალდაკვალ ჟურნალისტებად იქცევიან. სიტყვებს **„დიურნალისტი“** და **„ჟურნალისტი“** ერთნაირი ეტიმოლოგია აქვთ — ლათინურ სიტყვას **diurnus/diurna** **ფრანგული jour/jours** შეესაბამება, ხოლო ქართულად ორივეს **„დღე“** შეესატყვისება. აქედან იქნებ სიტყვა **დღიურნალისტიც** ვაწარმოოთ — ყოველდღიურ ამბებზე მორბენალი იმ დამწყები რეპორტიორის აღსანიშნავად, რომელსაც, როგორც იტყვიან, ფეხები ინახავენ; კარიერული ზრდის შესაბამისად, შემდგომ ეტაპზე ნახევრადპროფესიონალ მეგაზეთეს შეიძლება უფრო ჟღერადი **დიურნალისტი** დავარქვათ და მხოლოდ ამ ორი საფეხურის გავლის შემდეგ მივცეთ მას (და მან თავის თავს) **ჟურნალისტად** სახელდების უფლება.

ხოლო ჟურნალისტი რამდენგვარი არსებობს, იხილეთ ზემოთ.

●

უნივერსიტეტში, ჩემს კურსზე ერთი კოკროჭინა გოგო სწავლობდა. ძაღლები უყვარდა და თავისი თაყვანისმცემლები ძაღლებთან გარეგნული თუ შინაგანი მსგავსების მიხედვით ჰყავდა დახარისხებული — ვინ **პეკინესი** იყო, ვინ – **ბულდოგი**, ვინ – **დოგი**, ვინ – **სეტერი**, ვინ – **ნაგაზი** და ვინ – **დვარნიაჟკა** ანუ **ქოფაკი!**

ძაღლები ძაღლებად, მაგრამ ჩემს წარმოდგენაში დაახლოებით ასე მყავს დახარისხებული დღევანდელ ჟურნალისტიკაში მოფუსფუსე გოგო-ბიჭები. ზოგი **წ**რეპორტიორია და ზოგი **ყ**ორესპონდენტი, ზოგი **ჭურ**ნალისტია და ზოგი **ჩურ**ნალისტი, ზოგი — ვინ და ზოგი — ვინ (კიდევ ერთხელ **იხილეთ ზემოთ**). და თუ ვინმე ახალყოილი გამოჩნდა, ისიც მალე იკავებს ხოლმე კუთვნილ ადგილს.

მათ შორის, რა თქმა უნდა, არიან და, მადლობა ღმერთს რომ არიან **ოქროს თევზებიც** და **ტოპჟურნალისტებიც**, თანაც ძალიან მაგგგრები, ძალიან-ძალიან. თუმცა მათი რიცხვი დიდი არ არის, რომ არავინ გამომრჩეს და არც არავის ეწყინოს, აქ მათ სახელებს არ ჩამოვთვლი.

●

დაბოლოს, ჩემი ეს სალაღობო, სუმბურულ-კალამბურული კლასიფიკაცია მთლად მენდელეევის სისტემის დარი შეიძლება არ იყოს, მაგრამ, ვინც რა უნდა თქვას, საკმაოდ მოსახერხებელი კია. და იმავე მენდელეევის სისტემის დარად, იგი შეიძლება შეივსოს ჟურნალისტიკის ახალი ელემენტებით და დაზუსტდეს კონკრეტული მაგალითებითა თუ სახე(ლ)ების მოხმობით, რასაც მარტო მე, რასაკვირველია, ვერ გავწვდები.

შენიშვნებისა და წინადადებისათვის მედიაექსპერტებსა და ყველა ენთუზიასტს, ვთხოვ, გამომეხმაუროს.

# ჩინეთს ამერიკის ჰეგემონობა აღიზიანებს!



**ინაუგურაციიდან ერთი კვირის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი თავისი პირველი საერთაშორისო ვიზიტით ჩინეთს ეწვია, რითიც, ვლადიმირ პუტინმა მსოფლიოს აჩვენა, რომ რუსეთის მთავარი მოკავშირე ჩინეთია. მოგეხსენებათ, პოლიტიკაში, სიმბოლიზმს თავისი ადგილი აქვს. რუსეთის ლიდერი ჩინეთში დიდი ამალით ჩავიდა: მას თან უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარე სერგეი შოიგუ და თავდაცვის მინისტრი ანდრეი ბელოუსოვი ახლდნენ. დელეგაციაში მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებიც შედიოდნენ.**

ჩინეთის მთავრობა რუს სტუმარს შთამბეჭდავი ზარზეიმით დახვდა. პუტინს პეკინში, დიდი სახალხო სასახლის წინ, წითელი ხალიჩა დაუგეს, სადაც მას სახალხო გამათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცები მიესალმნენ, ტიანანმენის მოედანზე, 21-მა ქვემეხმა იქუხა. მოკლედ, სიძინპინმა პუტინს არნახული მასპინძლობა გაუწია.

უკრაინის ომის დაწყების დღიდან, ორივე მხარე ცდილობს, მსოფლიოს მათი სტრატეგიული ურთიერთობა აჩვენოს. ყველას გვახსოვს, ჩინეთის კომპარტიის ბოლო ყრილობაზე ჩინეთის ლიდერად სიძინპინის ხელახალი დამტკიცების შემდეგ, მან პირველი საერთაშორისო ვიზიტი რუსეთში განახორციელა. ვიზიტის პირველი ორი დღე პუტინმა პეკინში გაატარა და, მესამე დღეს, ქალაქ ჰარბინში გაემგზავრა, სადაც ბიზნეს ფორუმში მიიღო მონაწილეობა. პეკინში, რუსეთისა და ჩინეთის ლიდერებს შორის, ჯერ კარს მიღმა და, შემდეგ, საჯარო მოლაპარაკებები გაიმართა, რომლის შედეგად, მათ ქვეყნებს შორის ყოვლისმომცველ პარტნიორობაზე ერთობლივი განცხადება გააკეთეს. მხარეებმა, ასევე, ხელი მოაწერეს შეთანხმებებს ინფორმაციის გაცვლის, მედია ურთიერთობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

ნავარაუდევია, რომ მიღებული სქელტანიანი კომუნიკე რუსულ ჩინური საგარეო პოლიტიკის სამომავლო გზამკვლევი იქნება, რომლშიც ხაზგასმულია, რომ **ამერიკა, მსოფლიო ჰეგემონის პრეტენზიით, ძირს უთხრის მშვიდობას მსოფლიოში, ნატოს გაფართოება საყოველთაო უარყოფითი მოვლენაა, და დაგმობილია ინდო-წყნარ-ოკეანეში და ახლო აღმოსავლეთში ამერიკის აგრესიული პოლიტიკა. ამერიკის სურვილი, რომ იყოს მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერი, გეოპოლიტიკურ რყევებს იწვევს. ამიტომ, ჩინეთი და რუსეთი, ერთობლივი ძალისხმევითა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ეცდება წინ აღუდგეს ამერიკულ აგრესიულ პოლიტიკას!**

მხარეები შეთანხმდნენ, რომ არქტიკის განვითარებისა და ახლო აღმოსავლეთში

# კვიპროსი გაერთიანებაზე ოცნებობს!

**კვიპროსი უძველესი ისტორიის მქონე კუნძულის სახელმწიფოა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ წყლებში. გეოგრაფიულად, აზიის, და, კულტურულ-პოლიტიკურად, ევროპის ნაწილია. კუნძულის ზოგიერთი ნამოსახლარი ძველი წელთაღრიცხვის მეათე ათასწლეულით თარიღდება. იმ დროიდან, რამდენიმე მილენიუმის შემდეგ, აქ ბერძნები დასახლებულან, რომლებიც, დღეს, კვიპროსის მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენენ. სახარბიელო სტრატეგიული მდებარეობის გამო, კვიპროსის დაპყრობას, სხვადასხვა დროს, დიდი იმპერიები ცდილობდნენ ხოლმე, მათ შორის, ეგვიპტე, რომი, ბიზანტია და, ბოლოს, სამი საკუნის განმავლობაში, 1571-1878 წლებში აქ ოსმალები გაბატონდნენ. ზუსტად მაშინ დასახლდნენ კვიპროსში თურქები. 1878 წლიდან, კუნძული ბრიტანეთის გავლენის ქვეშ მოექცა, რომლისგანაც დამოუკიდებლობა მხოლოდ 1960 წელს მოიპოვა.**

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ოთხ წელიწადში, კვიპროსელ ბერძნებსა და თურქებს შორის წინააღმდეგობა გაჩნდა, რაც მალე სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1964 წელს, გაერო იძულებული გახდა, კუნძულზე სამშვიდობო ძალები შეეყვანა. 10 წლის შემდეგ, სამხედრო ხუნტის დახმარებით, კვიპროსელმა ბერძნებმა პუტჩი წამოიწყეს, რომლის საპასუხოდ თურქეთი კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში შეიჭრა და მისი ანექსია მოახდინა. ქვეყანა ორად გაიყო: კვიპროსის რესპუბლიკად და არაღიარებულ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკად, რომელთა შორის, დღემდე დგას გაეროს ძალები და ინგლისის სამხედრო ბაზები. 2004 წელს კვიპროსი ევროკავშირის წევრი გახდა, თუმცა, მხოლოდ ქვეყნის სამხრეთი ნაწილი. თურქეთი დღემდე ეღობება წინ კვიპროსის გაერთიანებას. 2008 წელს, კვიპროსის აღიარებული ნაწილი ევროზონაში შევიდა.

პოლიტიკური წყობით, კვიპროსი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტს ხუთი წლით ირჩევენ. კვიპროსის დღევანდელი პრეზიდენტი 50 წლის ნიკოს ქრისტოდულიდისია. ის კვიპროსის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში, ქალაქ პაფოსთან ახლოს დაიბადა. წარჩინებით დაამთავრა არქიეპისკოპოს მაკარიოსის სახელობის ლიცეუმი, შემდეგ, ორ წლის ვადით, კვიპროსის სამხედრო ძალებში იმსახურა. 1993 წელს სწავლა ამერიკაში, ნიუ-ორკის ქუინსის კოლეჯში განაგრძო, სადაც პოლიტოლოგიაში ბაკალავრის ხარისხი მიიღო. 2003 წელს, ნიკოსმა ათენის უნივერსიტეტში, პოლიტოლოგიაში სადოქტორო ხარისხი დაიცვა. 2007-2010 წლებში, მან დროებით შეაჩერა თავისი დიპლომატიური კარიერა, როცა კვიპროსის უნივერსიტეტში პროფესორის რანგში ლექციებს კითხულობდა. ამავე პერიოდში, მან არაერთი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა. 2013 წელს, ქრისტოდულიდისი პრეზიდენტ ნიკოს ანასტასიადისის მრჩევლად დანიშნეს საგარეო საკითხებში. ერთ წელიწადში, პრეზიდენტის პრესმდივანი გახდა. 2018 წელს, პრეზიდენტ ნიკოს ანასტასიადის მეორე ვადით არჩევის შემდეგ, ნიკოს ქრისტოდულიდისი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ნიკოს ანასტასიადისს, კანონის მიხედვით, 2023 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მესამეჯერ მონაწილეობის უფლება აღარ ჰქონდა. მმართველი დემოკრატიული გაერთიანების პარტიის პოლიტბიურო, მხარს თავისი პარტიის გენერალურ მდივანს, ავეროფ ნეოფიტუს უჭერდა. პრეზიდენტი კი თავის მოწაფეს ნიკოს ქრისტოდულიდისს უმაგრებდა ზურგს. თუმცა, პარტიის უმრავლესობის დაჟინებით, მასაც მოუწია ნეოფიტუსისთვის მხარის დაჭერა. ნიკოს ქრისტოდულიდისმა კი, გადაწყვიტა, თანამდებობა დაეტოვებინა და საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად მიეღო მონაწილეობა. საარჩევნო მარათონში სხვა კანდიდატებიც მონაწილეობდნენ, თუმცა, მთავარი რბოლა სამ კანდიდატს შორის გაიმართა. ესენი იყვნენ მმართველი პარტიის კანდიდატი ავეროფ ნეოფიტუ, მემარცხენე ბლოკის წარმომადგენელი ანდრეას მავრუანისი და ნიკოს ქრისტოდულიდისი. ქრისტოდულიდისმა მოლაპარაკებები გამართა სხვა ცენტრისტულ პარტიებთან. შედეგად, ორმა ძლიერმა პოლიტიკურმა ძალამ, კვიპროსის დემოკრატიულმა პარტიამ და მოძრაობამ სოციალ-დემოკრატიისთვის მას მხარი დაუჭირა. პრეზიდენტის არჩევნები 2023 წლის 5 თებერვალს ჩატარდა, მაგრამ, იმავე დღეს გაირკვა მეორე ტურის ჩატარების აუცილებლობა. არც სენსაცია დაკლებია არჩევნებს: მმართველი პარტიის კანდიდატმა, ავეროფ ნეოფიტუმ იმდენად ცოტა ხმა მიიღო, რომ საარჩევნო შეჯიბრს გამოეთიშა. მეორე ტურში ნიკოს ქრისტოდულიდისი და ანდრეას მავრუანისი გავიდნენ. მოგვიანებით, ავეროფ ნეოფიტუმ მაშინდელ მოქმედ პრეზიდენტს ბრალდება წაუყენა, რომ ის ქრისტოდულიდისს საიდუმლოდ უჭერდა მხარს. მეორე ტურში, ხმები ასე განაწილდა: ქრისტოდულიდისმა 52 პროცენტამდე მოიპოვა, მავრუანისმა, 48 პროცენტი. შესაბამისად, ნიკოს ქრისტოდულიდისმა არჩევნებში გაიმარჯვა და, კვიპროსის

# ევროვიზია — უხამსობისა და ლიბერასტობის კონკურსი







**ევროვიზიამ სიმღერის ტრადიციული კონკურსი შვედეთის ქალაქ მალმიოში ჩაატარა. ეს ყოველწლიური ვოკალური შეჯიბრი არასოდეს არ ტარდება ხოლმე სკანდალების გარეშე, მაგრამ წელს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ჯერ იყო და, კონკურსში ისრაელის მონაწილეობამ ევროპული პრო-პალესტინური საზოგადოება აღაშფოთა: საკონკურსო არენის შიგნითაც და გარეთაც ანტიისრაელური შეძახილები ისმოდა; შემდეგ, ჰოლანდიელ მონაწილეს დისკვალიფიკაცია მისცეს: თურმე, ფიზიკურად და სიტყვიერად, კონკურსის ერთ-ერთ ტექნიკურ პერსონალზე იძალადა. ევროპის მასმედიამ წლევანდელი კონკურსი ყველაზე მდარე და სკანდალურ ღონისძიებად შერაცხა.**

ევროვიზიის ვოკალურ კონკურსს დასაბამი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში მიეცა. იდეა ევროპის მაუწყებელთა კავშირს ეკუთვნოდა. მეორე მსოფლიო ომით ნაიარევი ევროპა, მაშინ, დეპრესიაში იყო, და უფრო უპრიანს, ვიდრე ხალხების გამაერთიანებელ სახალისო შეჯიბრს, ვერაფერს მოიგონებდა. მისი წინამორბედი იტალიის ცნობილი საესტრადო კონკურსი იყო, რომელიც სან-რემოში იმართებოდა.

ევროვიზიის სიმღერის პირველი კონკურსი 1956 წელს, შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში ჩატარდა, რომელშიც შვიდმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. წლების განმავლობაში მონაწილეთა რიცხვი გაიზარდა და კონკურსმა სახელიც მოიხვეჭა. ცივი ომი რომ დასრულდა, კონკურსში სოციალისტური ბლოკის ქვეყნებიც და პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებიც ჩაერთო, თუმცა, მის სცენაზე იშვიათად, მაგრამ მაინც ნახავდით ხოლმე ვოკალის ვარსკვლავებს. კონკურსში მონაწილეობა მიღებული აქვს ცნობილ საესტრადო ჯგუფ აბბას მომღერლებს, სელინ დიონს, ხულიო იგლესიასს, კლიფ რიჩარდს და ოლივია ნიუტონ ონსს. 90-იანი წლების ბოლოს, კონკურსი სულ სხვა გზით წავიდა და დამაარსებელთა ჩანაფიქრს ასცდა. მოხდა ისე, რომ ვოკალს ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, ვიდრე სანახაობრივ ეფექტს, თან, რაც უფრო ჭრელა-ჭრულა და სკანდალური იყო სანახაობა, მით უფრო მეტ მაყურებელს იზიდავდა. ევროპის ლგბტ თემს კონკურსი სიგიჟემდე შეუყვარდა და თანდათან წარმოდგენა სწორედ მათი ხელდასხმით იმართება. ევროპულმა მედიამ ევროვიზიის ვოკალურ შეჯიბრს, ირონიულად, ლგბტ საზოგადოების სიმღერის კონკურსი შეარქვა.

არც წლევანდელი ღონისძიება იყო გამონაკლისი, რომლის გამარჯვებული შვეიცარიელი ლგბტ მომღერალი გახდა. ეს, შესაძლოა, მოგწონდეს ან არა, მაგრამ როგორც დასავლური მედია აღნიშნავს, თავად კონკურსი იყო უგემოვნობისა და უხამსობის კულმინაცია.

მაყურებელს შთაბეჭდილება დარჩა, რომ წარმატებისთვის ეპატაჟურ-სკანდალური გამოსვლა კმაროდა. სხვანაირად, უბრალოდ, ვერ ახსნი ზოგიერთი კონკურსანტის საქციელს. ამ მხრივ, ალბათ, ყველაზე გამორჩეული ფინეთი და ირლანდია იყო. ფინელმა მომღერალმა **Windows 95 man**-მა საზოგადოება შოკში ჩააგდო, როდესაც სცენაზე მიჭრილ-მოჭრილი თეთრი მაისურით, წინდებით, სანდლებით და, რაც მთავარია, შარვლის გარეშე გამოვიდა. საზარდულის მიდამოში, ხორცისფერი ქსოვილი ქმნიდა ილუზიას, რომ მომღერალი სრულიად შიშველი იყო. ამაზე, სოციალური ქსელის მომხმარებლები ქილიკობდნენ და შეშლილის სცენიდან გაძევებას ითხოვდნენ.

ირლანდიის წარმომადგენელმა სიმღერის გარდა ყველაფერი ქნა. მომღერალმა **Bambie Thug**-მა ფაქტობრივად ექსორსისტული რიტუალი ჩაატარა. მომღერლის სამოსიც რაღაც სატანისტურს ჰგავდა. სიმღერის ნაცვლად, ვოკალისტი უბრალოდ ღრიალებდა. აღშფოთებულმა ევროპულმა მასმედიამ ეს საშინელება მწვავედ გააკრიტიკა. ითქვა, რომ ევროვიზიისგან განსხვავებით, სან-რემოს კონკურსი დღემდე ტრადიციულ გასართობ სტილში ტარდება...



**ნუგზარ გ. რუხაძე**
POSTV

მშვიდობის დამყარების საკითხებშიც ითანამშრომლებენ. მოკლედ, აღსრულდა ის, რასაც დასავლელი ექსპერტები წინასწარმეტყველებდნენ: ჩამოყალიბდა დასავლეთის საპირწონე ჩინურ-რუსული სტრატეგიული კავშირი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გლობალური სამხრეთის გადაბირება და დასავლური წყობისთვის წინააღმდეგობის გაწევაა. შეხვედრამ, ამავე დროს, აჩვენა, რომ ორ ქვეყანას შორის ბევრი გაურკვეველი საკითხიც არსებობს, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთთან მწვავე კონფრონტაციის პრობლემა. ყველაფრის მიუხედავად, ჩინეთი დასავლეთთან დაპირისპირებას თავს არიდებს და დამაკავშირებელ ხიდებს არ წვავს. ჩინეთს მხოლოდ ამერიკის დომინანტური პოზიცია აღიზიანებს, რაზეც პირდაპირ მეტყველებს სიძიპინის ამასწინანდელი მრავალდღიანი ვიზიტი ევროპაში.

ჩინეთის ლიდერი ევროპელ კოლეგებს, კერძოდ, მაკრონსა და ურსულა ფონ დერლაიენს არწმუნებდა, რომ ამერიკის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ აგრესიულია. ჩინეთს კი, ყველა ქვეყანასთან ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძვლებზე აგებული ეკონომიკური კოოპერაცია სურს.

მაშ, რას ნიშნავს რუსულ-ჩინური სტრატეგიული პარტნიორობა? დასავლელი და ჩინელი ექსპერტები ერთხმად ამბობენ, რომ ჩინეთს მხოლოდ ერთი მეგობარი და მოკავშირე ჰყავს, და ეს თავად ჩინეთია. ჩინეთი უმეგობრდება ხოლმე მას, ვინც დროებით სჭირდება. ამის კიდევ ერთი დასტურია, რომ უკრაინის საკითხში ჩინეთს ნეიტრალური პოზიცია უჭირავს. რუსეთს, თითქოს, ეხმარება, მაგრამ მხოლოდ იმ დოზით, რომ მისი საკუთარი ინტერესები არ დაზიანდეს.

რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაშიც, ჩინეთი მხოლოდ თავის სასარგებლო ნაბიჯებს დგამს. ჩინეთი, რუსული ენერგორესურსების მთავარი იმპორტიორი კი გახდა, მაგრამ რუსეთი მიწოდებას ჩინური პირობებით ახორციელბს. ორი ქვეყნის ვაჭრობაშიც დიდი გარღვევაა. ბოლო ორი წლის ჯამური მონაცემებით, ჩინურ-რუსულმა სავაჭრო მოცულობამ რეკორდული 240-მილიარდი დოლარი შეადგინა, მაგრამ ლომის წილი, დაახლოებით 70 პროცენტი, ჩინური საქონლის ექსპორტზე მოდის. ჩინეთი რუსეთისგან მხოლოდ წიაღისეულს ყიდულობს.

დასკვნა? რუსეთი ჩინეთზე ეკონომიკურად დამოკიდებული ხდება, რაც, ყველაზე მეტად, ჩინურ მაღალტექნოლოგიურ საქონელს, ავტომობილებსა და მანქანათმშენებლობის პროდუქციას ეხება.




თანამედროვე ისტორიაში, მერვე პრეზიდენტი გახდა. ქრისტოდულიდისმა პრეზიდენტობის პირველივე დღეს განაცხადა, რომ, როგორც ყველა კვიპროსელისთვის, ისე მისთვის, მთავარი ამოცანა კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტაა. ამიტომ, ორ მხარეს შორის მოლაპარაკებების ხელახლა დასაწყებად, მან გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიო გუტერეშს გაეროს სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა სთხოვა. ანტონიო გუტერეშმა წინადადება მიიღო და კვიპროსის საკითხის მოსაგვარებლად კოლუმბიელი დიპლომატი მარია ანგელა კუელერი დანიშნა.

ქრისტოდულიდისი მკვეთრი ატლანტისტია. მან დაგმო რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ, ხოლო, ისრაელ-ღაზის კონფლიქტში შემრიგებელის როლი იკისრა. ნიკოს ქრისტოდულიდისი ბედნიერ ქორწინებაშია. მისი მეუღლე, ფილიპა კარსერა კარიერული დიპლომატია. მათ ერთმანეთი 1999 წელს, საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიცნეს. ბოლოს, ქალბატონი კარსერე კვიპროსის საგარეო საქმეთა სამინისტროს კრიზისების დეპარტამენტის უფროსი იყო. წყვილს ოთხი მცირეწლოვანი ქალიშვილი ჰყავთ.

# კოვიდპანდემიამ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეამცირა

**მასშტაბური კვლევის თანახმად, კოვიდ-19-ის პანდემიამ სიცოცხლის საშუალო სავარაუდო ხანგრძლივობა 1.6 წლით შეამცირა. მაჩვენებელმა პირველი ორი წლის განმავლობაში გლობალურად დაიკლო. ცვლილება მეცნიერთათვის მოსალოდნელზე მასშტაბური აღმოჩნდა.**

IHME-ს მონაცემებით, სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა ათწლეულების განმავლობაში მატულობდა. შესაბამისად, პანდემიის პერიოდი ამ მხრივ გარდამტეხი აღმოჩნდა.

ნაშრომი ჟურნალ Lancet-ში გამოქვეყნდა.

„კოვიდ-19-ის პანდემიამ მსოფლიოს ზრდასრულ მოსახლეობაზე იმაზე დიდი გავლენა იქონია, ვიდრე ნებისმიერმა სხვა მოვლენამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, იქნება ეს კონფლიქტები თუ ბუნებრივი კატასტროფები“, — განაცხადა ოსტინ შუმახერმა, IHME-ს მეცნიერმა და ნაშრომის მთავარმა ავტორმა.

კვლევის ფარგლებში 204 ქვეყანა და ტერიტორია გააანალიზეს. 2020-2021 წლებში სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა 84%-ით შემცირდა. მკვლევრების თქმით, ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რაოდენ გამანადგურებელი გავლენა შეიძლება იქონიოს ხალხზე ახალმა ვირუსმა.

ამ დროის განმავლობაში 15 წელს ზემოთ ადამიანთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 22%-ით გაიზარდა კაცების შემთხვევაში, ქალებში კი – 17%-ით.

მეხიკო, პერუ და ბოლივია იმ ადგილებს შორისაა, სადაც სიცოცხლის საშუალო სავარაუდო ხანგრძლივობა ყველაზე მეტად შემცირდა.

**საგულისხმოა, რომ IHME-ს გლობალური ავადობის ტვირთის კვლევის მონაცემებით დადებითი ტენდენციაც გამოვლინდა: ხუთ წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში 2021 წელს იმაზე ნახევარი მილიონით ნაკლები ბავშვი დაიხოცა, ვიდრე 2019-ში. გამოდის, ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირებას განაგრძობს.**

**ამასთანავე, პანდემიამ სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა შეამცირა, თუმცა, მკვლევრების თქმით, ხალხი მაინც იმაზე ბევრად დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე უწინ. ცნობილია, რომ 1950-2021 წლების შუალედში დაბადებისას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 23 წლით გაიზარდა. ეს მაჩვენებელი, კერძოდ, 49 წლიდან 72 წლამდე ავიდა.**

ცნობისთვის, მკვლევართა შეფასებით, კოვიდის შედეგად 2020-2021 წლებში იმაზე 15.9 მილიონით მეტი ადამიანი დაიხოცა, ვიდრე ეს პანდემიის გარეშე მოხდებოდა. სიკვდილის შემთხვევები ან თავად ვირუსმა გამოიწვია, ანდაც პანდემიასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა.

კვლევამ აჩვენა ისიც, რომ დაბერებული, მდიდარი ერების მოსახლეობამ შემცირება დაიწყო, ნაკლებად შეძლებულ სახელმწიფოებში კი ეს რიცხვი ზრდას განაგრძობს.

ეს დინამიკა უპრეცედენტო სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გამოწვევებს მოიტანს, თუნდაც მუშახელის შემცირებას ისეთ ადგილებში, სადაც ახალგაზრდა პოპულაცია მცირდება; ასევე რესურსების ნაკლებობას ისეთ ადგილებში, სადაც პოპულაციის ზომა სწრაფად განაგრძობს ზრდას, — განაცხადა ოსტინ შუმახერმა და დასძინა: „მსოფლიოს ერებს ერთმანეთთან თანამშრომლობა დასჭირდებათ ნებაყოფლობითი ემიგრაციის კუთხით“.

# განცხადება

**საჯარო განხილვის შესახებ**

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **ქ. თბილისში, ზაჰესის ტერიტორიაზე შპს „აგროქემიკალს ჯორჯიას“ მიერ მინერალური სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების (შაბიამანი და ბორდო) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 13 ივნისი, 14:00 საათი, ქ. თბილისი, გლდანის რაიონის გამგეობის შენობა (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის N1გ)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 17 ივნისის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 21 მაისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება

**საჯარო განხილვის შესახებ**

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა - **თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ.კვახჭირში შპს „ასტექის“ მიერ ასფალტის საწარმოს მშენებლობა და ექსპლუატაცია**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 3 ივლისი, 13:00 საათი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **22 ივლისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 20 მაისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# განცხადება

მიმდინარე წლის 30 ივნისს 17:00 საათზე ქ. თელავში დავითაშვილის 17 -ში დანიშნულია

კოოპერატივი „რკ ალაზნის ველის“ წევრთა საერთო კრება.

# განცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიან კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა 10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2022 წლის 21 ნოემბერს გარდაცვლილი მოქალაქე

გიორგი ცელინსკი (დაბადებული 1958 წლის 05 აგვისტო პ/ნ:61001051040) გარდაცვალების მოწმობა 772270003789) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქალაქ ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩა 23-ში ბინა 51-ის (ს/კ: 05.24.04.094.01.051.) 1/5 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28.

მონატრებული ინტერვიუ

# თუ ეთქმის, მას ეთქმის...

**ჟორდანიები მიჩვეული ვართ ემიგრანტობასო – ამ სიტყვებით ნაციონალური რეჟიმისგან მორიგი განკულაკების შემდეგ დროებით დაემშვიდობა სამშობლოს საფეხბურთო დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი, თბილისის დინამოსა და ეროვნული ფედერაციის ყოფილი თავკაცი მერაბ ჟორდანია.**

**ლანჩხუთის გურიას დაუვიწყარი თაობის ერთ-ერთ ლიდერს სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, უკვე ახალ ამპლუაში, თითქოს დაეკვება ამა თუ იმ მწვავე პრობლემასთან ღირსეულად გამკლავება და უნდა ითქვას, რომ შესაძლებელზე მეტიც კი გააკეთა, საზოგადოებასთან და, უპირველესად, საკუთარ მრწამსთან პირნათელი რომ დარჩენილიყო.**

**საილუსტრაციოდ ფეხბურთის ფედერაციის გახმაურებული ყრილობის გახსენებაც იკმარებს, როცა მისმა ორგანიზატორებმა არ გაითვალისწინეს იმავე დღეს ავთანდილ ჭკუასელის დაკრძალვის ფაქტი და უარი უთხრეს კონკურენტის მხარეს ღონისძიების გადადებაზე. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ეროვნული ჩემპიონატიდან პროტესტის ნიშნად დინამოელთა გასვლის ვარიანტმაც კი გაიჟღერა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა შეუვალი პოზიცია დაიჭირა – ახლახან ბათუმში დავრეკე და გაირკვა, რომ სტადიონი სავსეა გულშემატკივრებით, შესაბამისად, ზღვისპირეთში მივფრინავთო – და გუნდი აჭარაში გაემგზავრა.**

**არანაკლებ მრავლისმეტყველი გახლავთ ის ფაქტი, როცა ფედერაციის მაშინდელ ხელმძღვანელს რამდენიმე შეხვედრაში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ფუნქციის შესრულებაც მოუხდა, მათ შორის მოსკოვში რუსეთთან, სადაც იაშვილმა დებიუტშივე დაგვაწინაურა (1:3).**

**არის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი, რის გამოც თვალისჩინივით ვუფრთხილდები ძვირფას მოკეთესთან ურთიერთობას. ვგულისხმობ მის დედულეთში – ლეჩხუმის ულამაზეს სოფელ მექვენაში ბავშვობიდანვე დამეგობრებული ჩვენი მშობლების ხანგრძლივ ახლობლობას, რაც სულმნათი პაპუნა ნემსაძის ძალისხმევით ესტაფეტასავით გადმოგვეცა და ბატონი მერაბის უსაზღვროდ მადლიერი ვარ, დღემდე რომ ინარჩუნებს პროფესიული თუ ადამიანური ღირებულებებისადმი ერთგულებას.**

**მოკლედ, შესახვედრად უამრავი საკითხი დაგვიგროვდა და დღეს გთავაზობთ 21-ე საუკუნეში ჩვენს პირველ დიალოგს.**

**– უპირველესად, გილოცავთ ეროვნული ნაკრების ისტორიულ წარმატებას და როგორც ქართული ფეხბურთის შიდა სამზარეულოში უაღრესად გათვითცნობიერებულ კომპეტენტურ პროფესიონალსა და უშუალო მოქმედ პირს, გთხოვთ გაგვაცნოთ 26 მარტის ტრიუმფის თქვენეული ახსნა და გაავლოთ პარალელი წინა თაობასთან, რომელსაც დაკარგულ თაობასაც უწოდებენ, არადა ტალანტი არც მაშინდელ სოლისტებს აკლდათ.**

– ჩვენი საუბრის დასაწყისში მსურს მეც მივულოცო სრულიად საქართველოს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში გასვლა. აქვე დავძენ, რომ, მართალია ამ ბოლო დროს მაქსიმალურად ვერიდები ინტერვიუზე დათანხმებას, მაგრამ ამჯერად გამონაკლისი სწორედ აღნიშნული მოვლენის მნიშვნელობის გამო დავუშვი.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, არავინ ჩათვალოს, რომ ვინმეს დამსახურებას ვაკნინებ – პირიქით, ვთვლი, რომ დღევანდელ ზეიმს ფუნდამენტი წინამორბედებმა ჩაუყარეს, რასაც ტურნირის ახალი, ჩვენთვის სასიკეთო სისტემაც დაემატა.

როცა უნიჭიერეს თაობასა და მის ღირსეულ მწვრთნელზე ვსაუბრობთ, ფეხბურთის ფედერაციის ღვაწლიც უნდა დავაფასოთ, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და განსაკუთრებით კიდევ ერთ – უმთავრეს ფაქტორს გავუსვამ ხაზს.

დიაც, ჩემზე უკეთ ალბათ არავინ იცის, რომ ჩვენნაირ ქვეყნებში, საფეხბურთო გრანდებისგან განსხვავებით, სახელმწიფოსთან ერთად განმსაზღვრელი პირველი პირის როლიც გახლავთ.

საილუსტრაციოდ თუნდაც ბოლო 40 წლიწადს დავასახელებ და ბატონ **ედუარდ შევარდნაძესთან** ჩემსა და გამორჩეულად – **ნოდარ ახალკაცის** ურთიერთობას. მას შემდეგ **ირაკლი კობახიძე** პირველია, ვისაც პიროვნულად უყვარს ფეხბურთი, რაშიც მასთან რამდენიმე პირადმა შეხვედრამაც დამარწმუნა. თავად ის ფაქტი, რომ დღევანდელ გაწამაწიაში ფეხბურთისთვის იცლის, უკვე მრავლისმეტყველი გახლავთ. აღარაფერს ვამბობ ბიჭების მატერიალური სტიმულირებისა და გულშემატკივართათვის გერმანიაში გასამგზავრებელი ავიაბილეთების სუბსიდირების თაობაზე.

აღსანიშნავია აგრეთვე საშვილიშვილო – ახალი ულტრათანამედროვე სტადიონის მშენებლობის საკითხის წამოწევაც, რაც თანამებრძოლთა და თანამოაზრეთა უნიკალური ერთობით – **ირაკლი კობახიძის, ლევან კობიაშვილის, კახა კალაძის, ირაკლი მეძმარიაშვილისა** და **მიხეილ ყაველაშვილის** ძალისხმევით უნდა განხორციელდეს.

როგორც ყველა დიდ საქმეს, დასახელებულსაც თავზე გვირგვინად ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება უნდა დაედგას და მომავალი პროცესი გულთან ახლოს დარგების მიხედვით მინისტრებმაც უნდა მიიტანონ.

**– არა გვგონია, თქვენგან ნაამაგარი თბილისის დინამოს ამჟამინდელი მდგომარეობა გაკმაყოფილებდეთ...**

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ კლუბის პრეზიდენტ **რომან ფიფიას** ნურც მის აქტივში ჩაწერილ კარგ საქმეებს დავუვიწყებთ, მაგალითად – **ვიტალი დარასელიას** სახელობის დინამოს ბავშვთა აკადემიის შექმნას. ისე, რომ იცოდეთ, ნორმალური ურთიერთობა გვაქვს და რამდენჯერმე ვისაუბრეთ კიდეც ხსნის გზებზე.

აქვე ვისარგებლებ შესაძლებლობით და გეტყვით: ბევრისთვის უცნობია, რომ ჩემი დროის და ახლანდელი დინამო სხვადასხვა იურიდიული სუბიექტები არიან, პერსპექტივის თვალსაზრისით კი გპირდებით, რომ ადრე თუ გვიან, როცა ჩემს მეგობართა შვილებთან ერთად დინამოს დავიბრუნებთ, იგი ძველ დიდებასაც დაიბრუნებს. ალბათ, მიხვდით – ამ ეტაპზე საქმე სასამართლოშია.

**– გამორიცხულია, სისხლი არ ყიოდეს და სახელოვანი საფეხბურთო დინასტიის წევრს, რომლის მეოთხე თაობასაც თქვენი უმცროსი ვაჟი წარმოადგენს, მშობლიური ლანჩხუთის გურიას ბედი არ აღელვებდეს...**



მამა-შვილი მერაბ და კახი ჟორდანიები

– ეს რომ ასეა, იქაური მუნიციპალიტეტის მერის **ალეკო სარიშვილის** იდეის ხორცშესხმაში პირადი წვლილის შეტანის სურვილიც ადასტურებს, გურიას აღორძინებას რომ გულისხმობს, ხოლო რაც შეეხება თანადგომის ფორმას, პროცესში ჩემი ბიზნესმენი უფროსი შვილი ჩაერევა.

**– მოდით, ისევ ეროვნულ ნაკრებსა და მოახლოებულ გერმანულ ფორუმს დავუბრუნდეთ. საინტერესოა გუნდის ლიდერთა თქვენეული შეფასება.**

– რომელ კომპონენტსაც არ უნდა შევეხოთ, ბოლოს მაინც სოლისტებამდე მივდივართ. ორიგინალური არ ვიქნები, თუ განსაკუთრებულ კომპლიმენტებს **ხვიჩა კვარაცხელიასა** და **გიორგი მამარდაშვილს** შევაწევ, რადგან მიმაჩნია, რომ იტალიისა და ესპანეთის ტოპ-ლიგების ვარსკვლავები ის ფუნდამენტია, რომელზედაც ჩვენი ნაკრების მომავალი უნდა დაშენდეს. პოპულარულ გამოთქმას თუ მოვიშველიებთ, სწორედ მათზეა ზედგამოჭრილი, თამაში „ლიჩნად“ მოიგოო, ასე რომ, ჯგუფიდან გასვლა უტოპია სრულიადაც არ იქნება. აქვე აუცილებლად უნდა მივუზღათ საკადრისი ავსტრიის ბუნდესლიგაში დუბლის ავტორს **ოთარ კიტეიშვილს**, რომელიც ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ეჭვგარეშეა, რომ იგი ისტორიაში ჩაეწერა.

**– და ბოლოს: ფეხბურთი და თანამედროვეობა მთელი თავისი ღირებულებებითა და ჭუჭყით...**

– ეს მძლავრი ინდუსტრია – ფეხბურთი, თუნდაც ფინანსურად, სტაბილურად ძლიერდება, როგორც ყოველთვის, მდიდრები და ღარიბები დღესაც არიან. სწორედ დიდი გუნდების ხარჯზე ხდება საერთო სურათის ბალანსირება და ადრე თუ გვიან, ალბათ, ბობოლათა სუპერლიგის იდეა გაიმარჯვებს, მაგრამ ეს ფეხბურთის პროგრესის შეუქცევად პროცესს ხელს ვერ შეუშლის.

სხვათა შორის, გაგანდობთ, რომ ვწერ წიგნს „მისი უდიდებულესობა ფეხბურთი“. სათაურმა არ დაგაბნიოთ – კალათბურთიც მიყვარს, რაგბიც და ამ სახეობათა ნაკრებების მიღწევებსაც პატივს ვცემ, მაგრამ, დამეთანხმებით, ფეხბურთი მაინც სხვაა, რაშიც 26 მარტმაც დაგვარწმუნა. დიახ, იგი ერთადერთია, რომელსაც ხალხის ქუჩაში გამოყვანა და საერთო-სახალხო ზეიმის გამოწვევა შეუძლია. თავის დროზე ამ თემაზე ბატონ **ედუარდ შევარდნაძესთანაც** მისაუბრია და ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს დაემთხვა...

ესაუბრა
**გია პლატონიშვილი**

ორიოდე სიტყვით




## ძალოსნობა

**ლიმა (პერუ).** 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. +102 კგ. 14 მონაწილე. ერთბაშად 3 ოქრო – **ირაკლი ვეკუა** (პირადი მწვრთნელი – **სლავა ვეკუა**) – ატაცში, აკვრასა და ორჭიდში. ამავე წონაში ატაცში ბრინჯაო – **ბიბი დარსაველიძე.** 96 კგ – ვერცხლი (ორჭიდში) და 2 ბრინჯაო – ატაცსა და აკვრაში – **ლუკა სილაგაძე.** 102 კგ – ვერცხლი (ატაცში) – **ჯაბა ტყეშელაშვილი.** სულ სამხრეთამერიკულ ფიცარნაგზე 9 ჯვაროსანმა იასპარეზა.

## თავისუფალი ჭიდაობა

**ბაქო (აზერბაიჯანი).** ევროპის 23-წლამდელთა ახალგაზრდული ჩემპიონატი. ვერცხლი – **სოლომონ მანაშვილი** (125 კგ). ბრინჯაო – **ლუკა ღვინჯილია** (57 კგ), **დავით ფაცინაშვილი** (70), **ლუკა ჩხიტუნიძე** (74 კგ), **მერაბ სულეიმანაშვილი** (97 კგ). ჩვენი გუნდის მწვრთნელია **ზურაბ ჭიღლაძე.**

## ჩოგბურთი

**სლოვენია.** ქალთა 40-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი. წყვილთა თანრიგი. I ადგილი – **ეკატერინე გორგოძე, ვალერია სტრახოვა** (უკრაინა).

## ხელბურთი

**ეროვნული ჩემპიონატის ფინალები. ვაჟები.** ბათუმის შავი ზღვის ბიჭები – ქუთაისი 2015 – 25:17, 28:29. აღსანიშნავია, რომ ზღვისპირელებმა ტიტულიც შეინარჩუნეს და ახლახან იმედო ფხაკაძის თასსაც დაეუფლნენ. **ჩემპიონთა შემადგენლობა:** აბრამიშვილი, უთმელიძე, ლაპიაშვილი, სურმავა, ტიელიძე, გოგოლაძე, სტურუა, ბაინაზაშვილი, ბერძენიშვილი, ტორონჯაძე, ხანდოლიშვილი, მაისურაძე, ბერიძე, ვეფხვიაშვილი, ფუტკარაძე, დიასამიძე.

**ქალები.** ტყიბული – თბილისის მართვე 29:27. **ჩემპიონთა შემადგენლობა:** ძამუნაშვილი (მან ფინალში 12 ბურთი გაიტანა), არაბიძე, გობეჯიშვილი, რობაქიძე, ლაფერაძე, ოდიკაძე, ჯანდიერი, კოვზირიძე, კახნიაშვილი, კეკელია, მესხორაძე. ეს ტყიბულელთა პირველი ტრიუმფია.

## ფეხბურთი

**ბილბაო (ესპანეთი). ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი.** ბარსელონა – ლიონი 2:0. კატალონიელები მესამედ ავიდნენ ტახტზე მაშინ, როცა მათი მეტოქე უკვე 8-გზის გვირგვინოსანია.

## პარაფარიკაობა

**პოლონეთი. ქალთა მსოფლიო თასის გათამაშება. ხმალი.** ვერცხლი – **ნინა თიბილაშვილი,** ბრინჯაო – **ირმა ხეცურიანი.**

## კალათბურთი

**სუპერლიგა. მე-4 ფინალური მატჩი.** კავკასია – ქუთაისი 82:90 (სერიის ანგარიში 1:3). რიონისპირელები მესამედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები, ხოლო მათი თავკაცი **კოტე ტუღუში** – მეხუთედ!

**იტალიის სერია – ა. ნახევარფინალური პლეი-ოფის მე-2 შეხვედრა.** ვირტუსი – ვენეცია 79:78 (სერიის ანგარიში 2:0). **თორნიკე შენგელია** – 5 ქულა, 4 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა 15 წუთში.

**ბერლინი. ევროლიგის ფინალური მატჩი.** პანათინაიკოსი – რეალი 95:80. ბერძნებმა 13-წლიანი პაუზის შემდეგ მე-7 ტიტული მოიგეს.



# მერი დავითაშვილის არდავიწყების საღამო



**თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორის მერი დავითაშვილის 100 წლის იუბილიადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.**

ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ ინფორმაციით, კონცერტში მონაწილეობდნენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეები საღამოს უძღვებოდა მუსიკოლოგი მარიკა ჩიჯავაძე.

# აფხაზი თავადების დარბაზი ეროვნულ ბიბლიოთეკაში




**დარბაზში განთავსდა ჩხოტუების ცნობილი საგვარეულოს საოჯახო არქივის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ფოტოები და პირადი ნივთები, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში ესპანეთიდან ჩამოიტანეს.**

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ და ამ ისტორიული მოვლენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ რუსლან აბაშიძემ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ კონსტანტინიდიმ, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა

კონსტანტინე გამსახურდიამ და ჩხოტუების ოჯახის წარმომადგენლებმა. აფხაზი თავადების საარქივო მასალების საქართველოში ჩამოტანა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი ორგანიზებით პროექტის „აფხაზური არქივები“ ფარგლებში განხორციელდა.



ჩხოტუების ოჯახის გადაწყვეტილებით ჩარლზ ჩხოტუას ფერფლი, მისი ანდერძის თანახმად თბილისში ჩამოიტანეს და 27 მაისს ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს, სადაც ჩარლზ ჰოვარდ ჩხოტუას ბებიის, მამიდის და მამის ნიკოლოზ (ნიკი) ჩხოტუას გულები განისვენებენ. ადგილზე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „აფხაზეთი“ საქართველოს ჰიმნი შეასრულა.

სპეციალურად ამ დღესთან დაკავშირებით, საქართველოში ჩარლზ ჩხოტუას ოჯახის წევრები – მეუღლე, შვილები, დისშვილი და შვილიშვილი ჩამოვიდნენ. ღონისძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებითა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.




# თაღლითურად მითვისებული თითქმის 2 მილიონი დოლარი...

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ტრანსნაციონალური დანაშაულისთვის, თაღლითობის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ერთი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირი დამნაშავედ ცნო.**

ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ფინანსურ ინსტიტუტში თანხის დაბანდების შემთხვევაში მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიღების თაობაზე ინტერნეტსივრცეში ყალბი რეკლამა განათავსეს. ბრალდებულებმა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაცია დაამყარეს და ნდობაში შესვლის შემდეგ, დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს დაახლოებით 2 მილიონი აშშ დოლარი საქართველოში, მსჯავრდებულის მიერ დაფუძნებული ფიქტიური საწარმოს საბანკო ანგარიშებზე მოტყუებით ჩაარიცხინეს.

შემდგომში, ბრალდებულებმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის ნაწილი, დაზარალებულებს მათ მიერ კონტროლირებად უცხოურ საბანკო ანგარიშებზე გადაურიცხეს, რა გზითაც დაახლოებით 1 760 000 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განახორციელეს...

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ბრალდებულ ფიზიკურ პირს, სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ხოლო იურიდიულ პირს 10 წლით ჩამოერთვა სამეწარმეო საქმიანობის უფლება და დაეკისრა ჯარიმა 150 000 ლარის ოდენობით.

განაჩენით, ფიქტიური იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე დაყადაღებული 250 000 აშშ დოლარი დაუბრუნდა დაზარალებულს, ხოლო დარჩენილი თანხა სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა.

# ...იაფფასიან ფეხსაცმელებს ბრენდულად ასაღებდა

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენების ფაქტზე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ამხილეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული პირი, საზღვარგარეთიდან იმპორტირებულ იაფფასიან სპორტულ ფეხსაცმელებზე „ნაიკი“-ს ბრენდის სასაქონლო ნიშნის დატანას და შემდგომ რეალიზაციას ახდენდა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულის მფლობელობაში არსებული საამქროდან და მაღაზიიდან ამოღებულ



იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული, „ნაიკი“-ს სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული 28 ათას ცალზე მეტი სპორტული ფეხსაცმელი, ასევე 61 563 ცალი „ნაიკი“-ს ლოგო.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით...

## კოლორიტი

# დედასთან დამასაფლავეთო, დაუბარებია... ამაშიც მაგარი ბიჭობა გამოავლინა



დიდი ხანი არ უავადმყოფია. როგორც ჩანს, ორიოდე თვის წინ მძიმე სენმა თავი რომ იჩინა, უკვე გვიანი იყო.

69 წლის იყო. სააქაო ცხოვრებისთვის ბევრი არ არის. საერთოდ, არსებობს კი საკმარისი სიცოცხლე(?), რომელიც „ასაკში“ ისე შაქრდება, ყოველი დღით იწყებ ტკბობას.

გამორჩეული. რთულია არ ითამაშო მთავარი გმირი, მაგრამ მაინც ასეთი დასამახსოვრებელი იყო. ტრისტანი მუდამ იყო მაყურებლის საყვარელი და დასამახსოვრებელი მსახიობი.

40 წელი რუსთაველის თეატრის სცენაზე იდგა. ტრისტანზე გაბრაზებული კაცი არავის უნახავს. იმდენი სიყვარული და იუმორი ჰქონდა. მასთან ურთიერთობას ზეიმი მოჰქონდა. მეგობრებისთვის დიდი კაცი იყო. ყველგან – სცენაზე, გასტროლზე, ცხოვრებაში იყო ნამდვილი და სამეგობრო. ტრისტო, ტრისტო – ყველასთვის ასეთი იყო თეატრში.

დღეს, ოთხშაბათს იქნება სამოქალაქო პანაშვიდი თეატრში და მის მშობლიურ ბორჯომში გადასვენება... ახალდაბაში (ბორჯომში) დედასთან დამასაფლავეთო, დაუბარებია. ამაშიც მაგარი ბიჭობა გამოავლინა.

დიდი არტისტი და დიდი პიროვნება დააკლდა საქართველოს.

**მურმან ჯინორია**

## ხელოვნება

# ბონდო მაცაბერიძე



**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს ბონდო მაცაბერიძის გარდაცვალების გამო.**

ცნობილი საბავშვო მწერალი და გამომცემელი ბონდო მაცაბერიძე 65 წლისა გარდაიცვალა. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო მწუხარებას გამოხატავს ბონდო მაცაბერიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს. ეს სახელი და გვარი პატივისცემით განაწყობს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული საბავშვო მწერლობის წარსული, აწმყო და მომავალი.

ბონდო მაცაბერიძე ამ უმნიშვნელოვანეს დარგს თავდაუზოგავად და გატაცებით ემსახურებოდა. მან დააარსა გამომცემლობა „ბაკმი“, რომელმაც მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები, საბავშვო ენციკლოპედიები, საყმაწვილო მწერლობის კლასიკური ნაწარმოებები...

ქართულ საბავშვო მწერლობას თავად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შესძინა, რაც არაერთი ჯილდოთი აღინიშნა: დამსახურებულად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო და შიო მღვიმელის სახელობის პრემიები; გამორჩეული აღიარება ხვდა „ბექნა ბიჭის ზღაპრებს“, რომელიც, საბავშვო წიგნის ფესტივალზე, შესაბამის ნომინაციაში, წლის საუკეთესო გამოცემად დასახელდა. აღსანიშნავია, რომ ბონდო მაცაბერიძე არაერთხელ იყო ასტრიდ ლინდგრენის სახელობის საერთაშორისო პრემიის ნომინანტი“, – ნათქვამია ინფორმაციაში.



# განცხადება

კოოპერატივი “რკ აგრო-ლია 2014” იწვევს მეპაიეთა საერთო კრებას - დღის წესრიგი: კოოპერატივის ახალი წესდების შეთანხმება.

კრება ჩატარდება 2024წლის 20 ივნისს 10სთ-ზე, მისამართზე:

ზუგდიდი, სოფ. ინგირი, თამარ მეფის ქ.16.

# ქართველი გამომგონებლები ნასაში მიემგზავრებიან...



**18 წლის გიგი გამსახურდია, 17 წლის დავით რუსია და 17 წლის საბა ხაბურზანია არიან გამომგონებელი მეგობრები, რომლებიც აცხადებენ, რომ საქართველოს ტექნოლოგიურ მომავალს შეცვლიან.**

სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა გამოიგონეს „მაღაროელი რობოტი", გაიმარჯვეს „ათასწლეულის ინოვაციის" კონკურსში და სულ მალე NASA-ში გაემგზავრებიან.

როგორც გამომგონებლები ამბობენ, მათი პროექტის მთავარი მიზანია მაღაროში უსაფრთხო და მაღალტექნოლოგიური გარემოს შექმნა!

# ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო კონფერენცია

**30 მაისს** თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიის მიმართულება ატარებს ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციას და ტრადიციული მუსიკის საღამოს. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ინფორმაციით, კონფერენციისა და საღამოს მიზანია საერო და სასულიერო მუსიკის ახალგაზრდა მკვლევართა და შემსრულებელთა განვითარების ხელშეწყობა, ტრადიციული შემსრულებლობის პოპულარიზაცია.



კონსერვატორიის მცირე დარბაზი
CONSERVATOIRE RECITAL HALL
8 Griboedov st., Tbilisi 0108, Georgia

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
ეთნომუსიკოლოგიის მიმართულება

30 მაისი, 2024 19:00

ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის
ტრადიციული მუსიკის საღამო

მონაწილეობენ:

შესრულდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერა-დასაკრავები.

საღამოს გაუძღვება
პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი,
პროფ. ნატალია ზუმბაძე

დასწრება თავისუფალია

# ელისო ბოლქვაძე: ეს იყო პროვოკაცია, რომელიც აუცილებლად უნდა მოეწყოთ!

**ლევილის მამულში ფესტივალის ჩაშლა გია უდესიანმა და მისმა დაჯგუფებამ სცადეს. მათ ამის საშუალება საფრანგეთის პოლიციამ არ მისცა. აქტივისტები დეპუტატ ელისო ბოლქვაძეს, როგორც კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე თავად აცხადებს, თავს დაესხნენ.**

„ფესტივალის შემდეგ ველოდებოდით, მანქანა უნდა მოსულიყო და მე და ჩემს მენეჯერს, რომელიც არის ასევე ლევილის მენეჯერი [თავს დაგვესხა] ვინმე უდესიანი, რომელსაც მე არ ვიცნობ და რომელიც ამბობდა, არ გვიშვებთ შატოშიო და მერე უცებ მოვიდა თამარა დემურია, რომელიც ცხოვრობს საფრანგეთში და აქვს რაღაც ასოციაცია, არის ოპოზიციონერი აქტივისტი. რამდენიმე ადამიანი დაგვესხა თავს, ჩვენ ორნი ვიყავით. ადამიანებმა დაიწყეს შემოტევა, რასაც ჰქვია – როგორ აძლევთ ხმას რუსულ კანონს და ა.შ. ისეთი ამბავი იყო ფესტივალის გახსნაზე, რომ პატრიარქის სიმღერის შემდეგ მათ ატეხეს დებოში, მოვიდნენ, რაღაცებს აბრახუნებდნენ, ყვიროდნენ. ეს იყო სამარცხვინო. ლევილის წმინდა ადგილას გამართეს მიტინგი და დაგვესხნენ თავს. დარწმუნებული ვარ, ეს იყო პროვოკაცია, რომელიც აუცილებლად უნდა მოეწყოთ", – დასძინა ბოლქვაძემ





# საქართველოს მოქალაქეები ჩინეთში უვიზოდ ივლიან!

**საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ საქართველოს მოქმედ ორდინალურ პასპორტებს, პეკინის დროით 2024 წლის 28 მაისს 00:00 საათიდან, თავისუფლდებიან ვიზის აღების ვალდებულებისგან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლის, გასვლის ან ტრანზიტით გავლის მიზნით, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ჩინეთის საელჩო ავრცელებს.**

საელჩოს ცნობით, თითოეულ შესვლაზე ყოფნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს, ხოლო ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში.

საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ საქართველოს მოქმედ ორდინალურ პასპორტებს და აპირებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დარჩენას 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, ცხოვრებას, ან მუშაობის დაწყებას, სწავლას, ან მედია საშუალებაში საქმიანობას ან სხვა სახის საქმეს, რომელიც საჭიროებს ჩინეთის კომპეტენტური ორგანოებისგან წინასწარ ნებართვას, ვალდებული არიან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლამდე შეიტანონ განაცხადი შესაბამისი ვიზის მისაღებად, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# გორის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცი გარდაცვლილი იპოვეს!

**გორის** სამხედრო ბაზაზე, სამორიგეოში ხელთუბნელი 19 წლის ჯარისკაცის ცხედარი იპოვეს. „ტვ მონიტორინგის" ინფორმაციით, გარდაცვლილს თავის არეში ჭრილობები სამსახურებრივი ავტომატით აქვს მიყენებული. სხვა დამატებითი დეტალები უცნობია.

,,ცხედარი უკვე გადმოსვენებულია სოფელში. რა მოხდა, ეს არავინ არ იცის. ვიცი მხოლოდ ის, რომ სამსახურებრივი ავტომატით აქვს მიყენებული ჭრილობები." – ამბობს სოფელში, მერიის წარმომადგენელი კობა ქარელიშვილი...

# დადასტურდა ტრანსსასაზღვრო დაბინძურება

**გარემოს** ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს ზოგიერთ რაიონში, ასევე, დედაქალაქში, ატმოსფერულ ჰაერში ფიქსირდება მყარი ნაწილაკების (PM10, PM2.5) შემცველობის მატება, რაც ძირითადად ტრანსსასაზღვრო დაბინძურებას უკავშირდება და სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უდაბნოს მტვრის მასების გავრცელებით არის განპირობებული.

**„აღსანიშნავია, რომ ტრანსსასაზღვრო დაბინძურება წლის განმავლობაში გარკვეულ დღეებში დასტურდება ანალოგიური სინოპტიკური სიტუაციის დროს.**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო აგრძელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტ მონიტორინგს ავტომატური სადგურების საშუალებით,"** – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



## დღესასწაული

# შუაზატიკობა

## აღდგომიდან მეხუთე შვიდეულის ოთხშაბათი



**29 მაისს** საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს აღდგომის შემდეგ მეხუთე შვიდეულის ოთხშაბათ დღეს, როგორც შუაზატიკობას.

...ზატიკის სახელწოდება, კორნელი კეკელიძის განმარტებით, წარმოდგება სპარსული სიტყვიდან „აზატ", რაც ნიშნავს „თავისუფალს", რაც ლიტურგიკის ენაზე ნიშნავს უქმე დღეს, თავისუფალ დღეს, დღესასწაულს.

ზოგადად დღესასწაულის სახელწოდება, უკავშირდება ეგვიპტისაგან ებრაელთა გათავისუფლების მოგონებას.

**გიული ლიპარტია**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ძორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა"
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 31 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7680; ევრო - 3.0058;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5298;
100 რუბლი - 3.1241; თურქული ლირა - 0.0860;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6270;
1000 სომხური დრამი - 7.1488.

**ამინდი 29 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +11, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე +28 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე +28 |
| თბილისი: | ღამე | +16, | დღე +28 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge